პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 300, (5101) | პარასკევი, 31 დეკემბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთშია

ხალხთა ბელადს — დიდ სტალინს
თბილისის საქალაქო საბჭოს რუსთაველის საიუბილეო საზეიმო პლენუმში
მისალმებანი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს — ამხანაგ ლ. ბერიას (მე-2 გვ.).
ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ზეიმი („პრავდის" მოწინავე, მე-2 გვ.)
მწერლების სიტყვები სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის რუსთაველისადმი მიძღვნილ პლენუმზე (მე-2 და მე-3 გვ.)
უცხოეთში:
საფრანგეთის კომუნისტური [illegible] (მე-4 გვ.)
ესპანეთის ფრონტებზე
საომარი მოქმედება ჩინეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხის-ტყაოსნის" 750 წლისთავის იუბილე

ხალხთა ბელადს—დიდ სტალინს

საუკუნეთა წყვდიადი რუსთველმა გადაანათა,
მზე, გულზე დაშუქებული, ბრძოლაში გვემუზარადა!
ოქროა კერას ნადები, სიმღერა კარის კარადა,
მის ლექსით გული დამაგრდა, სიცოცხლე გაგვიხალვათა!

ათასობით და ასობით ეს წიგნი იწერებოდა,
მის გადამწერელს, ამკინძველს ხან ცრემლი ჰქონდა წებოდა.
ქალების მზითევს ამკობდა, გამზრდელად თან მიჰყვებოდა.
ომში გმირ ვაჟკაცს უძღოდა, ტყვიის წინ ემღერებოდა!

ვერ გადახვია სიკვდილმა თავის ჩონჩხარა მკლავები,
შოთამ ახარა სამშობლო სიცოცხლით და უკვდავებით...
ბევრჯერ ვიყავით დიდ ჭირში, სიკვდილის ქსელში გავებით,
მაგრამ გულს გვიქვიტკირებდა რუსთველის ლექსის ტაეპი!

ხალხს ბევრი ჰყავდა მტარვალი, ომით რომ ვერა ძლებოდა,
ხალხს უბნელებდნენ მზეს, მაგრამ მზედ შოთა მიუძღვებოდა,
„მართ ვითა ლალსა მზისაგან მას ფერი ეზარდებოდა",
მისი ბრწყინვალე ნათელით მტერი შავბნელი კრთებოდა!

და წიგნი „ვეფხის-ტყაოსნის"—სამშობლოს დიდი სახელი—
არის სიმღერა ხალხისა, ხალხთა საბრძოლო ძახილი!
ხალხის ერთობის, გმირობის, მხნეობის გამომსახველი...
ამოსაფხვნელად უნდოდათ, თვით გახდნენ ამოსაფხვნელი!

ცეცხლში სწვავდნენ და ჰგლეჯავდნენ, სდევნიდნენ ჩინგისხანები!
ხონთქარ-ყეინი-ნოინი, მონგოლ-სპარსელი ხანები;
კვლავ ეკლესია ებრძოდა, კითხვა აკრძალა ბრძანებით,
რომ არ ჰქონოდა ხალხს წიგნი —იმედის ამამწვანები!

მაგრამ ვერ მოსპეს სიმღერა მკლავ-ფიცხელ-გულმაგრობისა,
წიგნი დიდ სიყვარულისა, ვაჟკაცურ მეგობრობისა;
გადაშენდნენ და დაიწვნენ მსურველნი მის ჩაქრობისა,
რუსთაველს შერჩა მზეობა და სიჭაბუკე ორბისა...

შოთა არ იყო მსახური ფარისევლური ტაძრისა,
იმას ებრძოდა ძლიერად, ვინც ხალხი იუკადრისა...
უყვარდა ადამიანი, თავისუფლება აზრისა;
ვერც მტერმა მწარედ მდევნელმა, ვერც შვიდას წელმა გასრისა!

და სიტყვა ცეცხლის დამბერი, სიმღერა დამაღნობელი,
ხალხმა ატარა გულითა, ის იყო მისი მკობელი...
ვარდი დაჭკნება, ზაფხულიც, ის რჩება დაუჭკნობელი;
გამარჯვებულმა დასძლია სიკვდილი დაუნდობელი!

ხალხმა თავის თავს ამსგავსა, სიტყვა სთქვა რა დიდებულად:
„შავ ხეობაში მრისხანედ ვეფხვ-ლომნი წაკიდებულან,
ვეფხვი სცემს, ლომი უფარებს, ერთ-ურთზე გამწარებულან,
იმათ შუაში ტარიელ გმირობით გახელებულა!"

რა ძლიერებით ისმოდა წიგნის ხმა ათასხმიანი:
შრომის და ნიჭის მიხედვით ცხოვრობდეს ადამიანი!
გულს ახალ ცეცხლით აფეთქებს, თუმც ძველი ამბავი არი...
მზისა და სიბრძნის ჩანჩქერი მოსჩქეფს დიდების გრიალით!

* * *

წარვიდნენ საუკუნენი—დღე ღამის გამომცვლელია,
შვება „მოგვეცა, მოგვშორდა ყოველი ჭირი ძნელია;
მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია,
ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია"!

დიდ ოქტომბრისგან მიიღო სამშობლომ აღორძინება,
ძალა და შემოქმედება, ამ ძალის გამოვლინება,
აჩქეფდა დიდი ნაკადი, მისი უწყვეტი დინება;
ხალხს, ბრძოლით გამოღვიძებულს არასდროს დაეძინება!

ქართულ კულტურის დიდება, დღემდის რომ იყო ფარული,
წარსულის დიდი ძეგლები, უწყალოდ გადამალული,
ბედნიერ ხალხმა მიიღო პატივით და სიყვარულით,
შეკინძა გადახეული, ამთელა გამობზარული!

საბჭოთა ქართველი ხალხი ძველ დიდ სიმდიდრის მქონები,
გულმოდგინებით ითვისებს, რაც ნალვაწია გონების,
ასრულდა შოთას სიტყვები საქვეყნოდ გასაგონები:
„მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები"!

შენ გვასწავლე, დიდო **სტალინ**, ამ სიმდიდრის დაფასება,
მივიღოთ და შევინახოთ, რასაც ხსოვნა შეერგება,
რასაც ჰქმნიდა საქართველოს სახელოვან კაცთა კრება,
შენ გვასწავლე შენახვასთან მისი სწორი მოხმარება...

ვიცით, **სტალინ**, როგორ გიყვარს შოთას წიგნი დიდებული,
რუსთაველის ტკბილქართული, მისი სიტყვა თვითეული;
გულს ანათებს, ვით დილის მზე მთაზე გადმოკიდებული,
ვარდს ჰფურჩნის და იასა ჰფენს, არა კმარობს კიდევ გული..

ვით გიყვარდა ყრმას და ჭაბუკს —ტარიელ და ავთანდილი!
ვით ხიბლავდა შენს ოცნებას საქმე მათი გარდავლილი, —
ამხანაგი მეგობრისთვის ცხრამთას იქით გავარდნილი,
ქაჯეთს კარებს შეალეწავს, შევარდება შევარდენი!

ამ გმირობის მეოცნებე ბავშვობიდან შენ იყავი...
ტკბილი „ვეფხის-ტყაოსანი" დღეს ვის გულში არა ჰყავის,
მუშისა და კოლმეურნის, ყველა მშრომლის საკითხავი,
საყვარელი წიგნი არი — ოქროვანი ლექსის ხვავი...

ძალი, სიღრმე ამ წიგნისა, აზრი თქმული უშიშარად,
დიდ სამშობლოს ხალხებისთვის მხოლოდ ეხლა გადიშალა,
დაიარა ყველა სახლი, საბჭოეთის გზა და შარა,
ძველად ძნელი სავალი გზა დღევანდელი მზით ამშრალა!

მათ ენაზედაც აჟღერდა რუსთველის ლექსი წყობილი,
ხელთ შოთას წიგნი უჭირავთ, ვით ვარდი დაუჭკნობელი...
თარგმნიან მრავლად მგოსნები, გამხდარან მისი მკობელი,
დღეიდან ყველასი არი—წიგნი გულთ გამათბობელი!

კითხულობს რუსი, უზბეკი, ყაზახი, უკრაინელი,
ებრაელი და ჩუვაში—გაგონებაა პირველი!
კითხულობს სომეხ-თათარი ახალ მშვენების მხილველი,
რა ამბავია, რა ტკბილი, — ძმურ გრძნობათ გამომპირველი!

საბჭოეთის ყველა ხალხებს შოთა მისთვის უყვართ დიდად,
რომ ნათქვამი რუსთველისა სიყვარულსა ზრდის და ზრდიდა!
„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად"!

უყვართ, რადგან შოთას ლექსი ხალხთა ძმობას ეთაყვანა
რომ ძმობა და მეგობრობა ურჩევნია მთელ ქვეყანას!
რომ მზისაკენ უწოდებდა, მზის—ღრუბლიდან მოსაყვანად,
სამშობლოსთვის თავდადებას ვერა ღვაწლი ვერ ამგვანა!

რომ ახლოს არ გაიკარებს მუხანათსა და ტიალსა,
გმობს კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა,
აქებს მაღალს და მართალსა, გმირსა და ვაჟკაცს მზიანსა,
„არ დავიწყება მოყვრისა აროდეს მოგცემს ზიანსა"!.

კვლავ უყვართ ხალხებს რუსთველი, — დღეს მზეზე გამოყვანილი,
მისთვის, რომ შოთას სამშობლომ მსოფლიოს მისცა **სტალინი!**
კაცობრიობის ბელადი, — გულში მზის შემომტანელი...
ქვეყანას თვალი ჩაუდგა, გუგუნებს ქარიშხალივით!

ამ დიდებულ დღეს, როდესაც ხმაურობს გული ღელვილი,
რუსეთის დიდ ხალხს სალამი, ვინც წარმოშობა **ლენინი!**
კაცობრიობის გენია, მზე გულზე გადმოფენილი,
ვინც ანუგეშა ამ ქვეყნად ცრემლდენილი და დევნილი...

დიდება კვლავ სხვა ხალხებსაც, ჩვენი მოკითხვა ქართული!
შოთას დღეს ერთად ვზეიმობთ, ერთად გვაქვს გულში ჩართული.
მოგვშორდა მძიმე ბორკილი, ცხოვრება უკულმართული,
ვიღვწით და ვშრომობთ ბეჯითად მშენებლობაში გართული!

შოთას დღე, შოთას ზეიმი—ჩვენი ერთობის დღე არი!
გამნათებელი გულისა და ძმობის გამაღვიარი..
მოედნებზე და ქუჩებზე—წითელ დროშების ტყე არი..
ძველი ჭრილობა მოგვირჩა, აღარ გვჭირს გულს ნატყვიარი!

წყალმა და ღვარმა წაიღო ვაება შავ წარსულისა,
„ხსოვნა აღარ ჰხამს ჭირისა, ვით დღისა გარდასრულისა",
იპოვნა ხალხმა პირთამზე, წადილი თავის გულისა,
დაუყვავილებას მოესწრო, მის ხელით დანერგულისა...

ვის შეუძლია გასტეხოს სიმაგრე ჩვენი ძმობისა,
შეურყეველი სიმტკიცე საბჭოთა მეგობრობისა,
როს წინ მიგვიძღვის პარტია—რაზმი და რაზმი წყობისად,
როცა წინ გვიძღვის **სტალინი** —მზე ხალხთა ბელადობისა!

მაგრამ თუ მტერმა გაბედა კაკუნი ჩვენი კარისა,
მტერს გულში დავეჯახებით, ვეცემით მსგავსად ქარისა,
ერთმანეთს შემოვაწყვეტავთ, ვით ზათქი ნიაღვარისა,
განა თავს გვხურავს ლეჩაქი, ვართ შოთას გმირთა გვარისა!

ძმობით ვართ შემტკიცებული და მხოლოდ ძმობის ფიცი გვწამს,
ვერ მოგვერევა, რომ აღსდგეს თვით ძალა დედამიწისა,
ვერვინ ჩაგვიქრობს ერთობას, სინათლის სხივთა ციმციმსა,
ვერც გარეთ და ვერც შინიდან, გინდ გამტეხელი ფიცისა!

* * *

ტურფაა ჩვენი სამშობლო, მშვენება მისი მდელოსი,
მისთვის გვებრძოდა სუყველა, ეშმაკი თუ ანგელოსი...
მაგრამ ვართ ხალხი მებრძოლი, ბოლოს გამტანი ლელოსი,
არც გული გაცვდა, არც ხმალი, არც სიტყვა საქართველოსი!

რკინის პერანგში გავზრდილვართ, გვედო ქვის გული მაგარი,
ჩვენი გმირობის ფოლადი ჩვენს კოშკებს გადავაკარით,
სხვას არ მივეცით სახელი წინაპართ ნაჭირმაგარი,
სისხლით ვიყიდეთ სიცოცხლე, შრომით ვაყვავეთ მთაბარი!

საუკუნეთა წყვდიადში სინათლის შემომტანელი,—
თუ ქართველ ხალხმა გაფურჩქნა დიდი რუსთველის ყვავილი,
მან ახალ კაცობრიობას ბელადად მისცა **სტალინი**,
ლენინის ბუდის არწივი, შეუდრეკელი **სტალინი!**

ლენინ-სტალინის პარტია წინ გვიძღვის, დიდი **სტალინი!**
იყოს დღეგრძელი ბელადი—შეუდრეკელი **სტალინი!**
მსოფლიოს მშრომელთ იმედი, — გმირთა სიმტკიცე **სტალინი!**
სამშობლოს დროშის გამხსნელი, ხალხთა დამხსნელი **სტალინი!**

თბილისის საქალაქო საბჭოს რუსთაველის საიუბილეო საზეიმო პლენუმის მიმართვა ლექსად გარდასთქვა **გიორგი ლეონიძემ.**

ჩეხოსლოვაკიის მუშათა პრესა შოთა რუსთაველის პოემის 750 წლისთავის შესახებ

პრაღა, 29 დეკემბერი (საკდეპი). ჩეხოსლოვაკიის მუშათა პრესა აღნიშნავს დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის 750 წლის იუბილეს. მუშათა გაზეთი „გალო ნოვინი" დიდ სტატიაში დაწვრილებით აღწერს საიუბილეო ზეიმს თბილისში და სსრ კავშირის დანარჩენ ნაციონალურ რესპუბლიკათა გამოხმაურებას იუბილესადმი. ამასთან ერთად გაზეთი ნათლად ასწერს შოთა რუსთაველის განსაცვიფრებელი ნაწარმოების „ვეფხის-ტყაოსნის" შემოქმედების სიდიადეს, „ვეფხის-ტყაოსნისა", რომელსაც თავისი ბრწყინვალება და სიახლე არ დაუკარგავს ჩვენს დღემდე. გაზეთი სწერს: „შოთა რუსთაველის ნაწარმოები აქამდაც ცოცხალი და მახლობელია იმიტომ, რომ მისი წარმოდგენა მსოფლიოსა და ცხოვრებაზე სასიხარულო და ნათელი იყო. შოთა რუსთაველმა შექმნა მშვენიერი ჰიმნი ადამიანზე, მის უფლებებზე, განთავისუფლებაზე, სიყვარულსა და ბედნიერებაზე. ამიტომ მისმა ეპოსმა გაუძლო საუკუნეებს და ჭაღარა საუკუნეთა სიღრმეში აკადემიურ ქმნილებად არ იქცა".

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-იაპონიის ოქმს მეთევზეობის რეჟიმზე 1938 წლისათვის

საბჭოთა კავშირისა და იაპონიის მთავრობებს შორის ა. წ. 21 დეკემბერს მიღწეული სიტყვიერი შეთანხმების შესაბამისად, ა. წ. 29 დეკემბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ბ. ს. სტომონიაკოვმა და იაპონიის ელჩმა სსრ კავშირში ბ-მა მამორუ სიგემიცუმ ხელი მოაწერის ოქმს, რომელიც აწესებს მეთევზეობის დროებით რეჟიმს 1938 წლისათვის. (საკდეპი).

საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში პირუტყვის დაწუნების წესის შესახებ

სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. ეიხემ დაავალა სამიწათმოქმედო ორგანოებს, მოაწესრიგონ იმ პირუტყვის დაწუნების, გამოკვებისა და გასუქების მოწყობის საქმე, რომელსაც იწუნებენ საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში, და მაღალხარისხოვანი პროდუქციით უზრუნველჰყონ ხორცის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულება.

სამიწათმოქმედო ორგანოები ვალდებული არიან კოლმეურნეობათა გამგეობებთან ერთად დააწესონ ცალკე თვითეულ ფერმაში პირუტყვის დაწუნების, გამოკვებისა და გასუქების ვადები მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმისა და ხორცის ჩაბარების კვარტალურ გეგმათა საფუძველზე.

ხორცის ჩასაბარებლად პირუტყვის შერჩევა უნდა მოხდეს სახელმწიფოსათვის პირუტყვის ჩაბარებამდე სამ თვეზე არაუგვიანეს. ამ ხნის განმავლობაში პირუტყვი კვებაზე უნდა იქნას დაყენებული.

უჯიშო და მცირე პროდუქტულობის, აგრეთვე ჯოგის მოსაშენებლად უვარგის პირუტყვს იწუნებენ კოლმეურნეობათა გამგეობანი. წმინდა ხარისხის პირუტყვის, ყველა გენერაციის მეტისებისა და ყველა გასაუმჯობესებელი ჯიშის შერჩევა ყველა სახის ცხოველის ხაზით უნდა ხდებოდეს რაიონული სამიწათმოქმედო განყოფილების წარმომადგენლის აუცილებელი მონაწილეობით.

ისინი, ვინც დამნაშავენი იქნებიან პირუტყვის დაწუნების დაგვიანებაში, აგრეთვე ჯოგის გასაშენებლად და გასაუმჯობესებლად ვარგისი მაღალპროდუქტიანი პირუტყვის დაწუნებაში, მიცემული იქნებიან უსასტიკეს პასუხისგებაში.

თბილისის საქალაქო საბჭოს რუსთაველის საიუბილეო საზეიმო პლენუმში

გუშინ ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო ოპერის თეატრში შესდგა თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო პლენუმი, ქალაქ თბილისის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის აქტივთან ერთად, მიძღვნილი უდიდესი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის გენიალური პოემის „ვეფხის-ტყაოსნის" დაწერის 750 წლისთავისადმი.

ბრწყინვალე და დაუვიწყარ სანახაობას წარმოადგენდა თბილისის ქალაქის საბჭოს ეს საზეიმო პლენუმი. დაუვიწყარი იქნება ეს საღამო, რომელიც ხალხთა სტალინური მეგობრობის ბრწყინვალე და მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა.

პრეზიდიუმში არიან ქალ. თბილისის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი წარმომადგენელნი, სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის რუსთაველის საიუბილეო პლენუმის მონაწილენი, მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მრავალრიცხოვანი დელეგაციები.

ეს იყო საღამო, რომელმაც მოახდინა ბრწყინვალე დემონსტრაცია დიადი საბჭოთა კავშირის ხალხთა მჭიდრო დარაზმულობისა მებრძოლი პროლეტარული ინტერნაციონალური დროშის ქვეშ **ლენინ-სტალინის** პარტიის გარშემო, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის, ამხანაგ **სტალინის** გარშემო.

ეს იყო ზეიმი, რომელმაც მოახდინა ბრწყინვალე დემონსტრაცია **ლენინ-სტალინის** ნაციონალური პოლიტიკის დიადი გამარჯვებისა.

მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მრავალრიცხოვანი დელეგაციების სახელით გამოსულ ორატორთა გამოსვლებში გაისმოდა სიტყვები იმის შესახებ, თუ როგორ იფურჩქნებიან საბჭოთა კავშირის ხალხთა — ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურები, როგორ ელვარებენ ისინი თავისი ფერების მთელი სიმდიდრით.

თბილისის ქალაქის საბჭოს რუსთაველის საზეიმო პლენუმის ტრიბუნიდან გაისმოდა მგზნებარე სიტყვები რუსულ, ქართულ, აზერბეიჯანულ, სომხურ, უკრაინულ, უზბეკურ, ოსურ, ყაზახურ და საბჭოთა კავშირის ხალხთა სხვა ენებზე.

საზეიმო პლენუმის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები: ლ. პ. ბერია, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, ვ. ბაქრაძე, გ. სტურუა, ვ. დეკანოზოვი, ს. გოგლიძე, ვ. ცხოვრებაშვილი, პ. მერკულოვი, ს. მამულოვი, ი. კოჩლამაზაშვილი, მ. გვიშიანი, მ. ბაჟანი, დემიან ბედნი, ვ. სტავსკი, ა. სერაფიმოვიჩი, ჯამბული, ვ. ვიშნევსკი, პ. შარია, კ. შეროზია, ა. გ. ლოხუტი, ა. ფადეევი, კ. ჩარკვიანი, გ. ახვლედიანი, დ. არაყიშვილი, თ. აბაკელია, ი. აბულაძე, ა. აბაშელი, კ. ბუჯიაშვილი, ე. ბურჭულაძე, ი. ბერიტაშვილი, ა. ვასაძე, ფ. პანფეროვი, ნ. ვაჩნაძე, შ. ლამბაშიძე, გ. გორდეზიანი, ს. ჰუსეინოვი, ბ. გოგუა, კ. გამსახურდია, ი. ჯავახიშვილი, ა. ჯაბელიძე, ს. ჯანაშია, შ. დადიანი, გ. ელისაბედაშვილი, კ. ზავრიევი, პ. ინგოროყვა, გ. კილაძე, ნ. კუცია, ნ. კუიბიშევი, იანკო კუპალა, კ. კეკელიძე, გ. კიკნაძე, ს. კაკაბაძე, გ. ლეონიძე, ა. მირცხულავა, ნ. მუსხელიშვილი, ა. მაჭავარიანი, ა. მაშაშვილი, კ. მერაბიშვილი, ი. მეშჩანინოვი, ი. მაჩაბელი, ა. მურუსიძე, ალი მამედოვი, ი. ნიკოლაძე, ა. ნოვიკოვ-პრიბოი, შ. ნუცუბიძე, კ. ფოცხვერაშვილი, პ. პავლენკო, თ. როსტომაშვილი, ბ. საყვარელიძე, ვ. სტრუვე, გ. ტაბიძე, ა. თვალჭრელიძე, მ. თოიძე, რ. თავაძე, პ. ტიჩინა, ნ. ტიხონოვი, ა. ხოფერია, ა. ხუსკივაძე, ა. ხორავა, ა. წუწუნავა, შ. წერეთელი, ა. წიკლაური, კ. ჭიჭინაძე, ა. ჩიქობავა, ს. ჩიქოვანი, თ. ჭავჭავაძე, მ. ჭიაურელი, დ. ჭიჭინაძე, ა. შანიძე, ნ. შენგელაია, ს. შანშიაშვილი, ვ. შიშმარევი, ა. ეული, კ. გარინი, ნაირი ზარიანი, ა. კაბზონიანი, თ. ბირკაძე, ნ. გეწაძე, ე. სტრიგოცკაია, დ. სეფერთელაძე, ნ. ვარსელაშვილი, გ. პეტროსიანი, ს. ვაშაძე, ა. ჯორბენაძე.

თეატრის სცენაზე აღმართულია მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** უზარმაზარი პორტრეტი, ვ. ი. **ლენინის** ფიგურა, ჰიდროსადგურის გამოხატულების ზევით. ცენტრში, გენიალური შოთა რუსთაველის ბიუსტი.

თბილისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. მ. გვიშიანი ყველა დამსწრეთა მქუხარე ტაშში თბილისის საბჭოს საზეიმო პლენუმს გახსნილად აცხადებს.

იგი მხურვალე სალამს უძღვნის საბჭოთა კავშირის მწერლებსა და პოეტებს — სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის რუსთაველის პლენუმის მონაწილეთ. დარბაზი მხურვალე ტაშს უკრავს და გულთბილად მიესალმება მოძმე ლიტერატურათა საუკეთესო წარმომადგენლებს.

ამხ. ცხოვრებაშვილს წინადადება შეაქვს არჩეულ იქნას საპატიო პრეზიდიუმი.

— ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი **სტალინი...**

მთელი დარბაზი ფეხზე დგება და მშობლიური, დიდი სტალინისადმი სიყვარულისა და ერთგულების ერთიანი გატაცებით, მხურვალე ტაშით მიესალმება იმას, ვინც საბჭოთა კავშირის ხალხები მიიყვანა ბედნიერ სამურ ცხოვრებამდე, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურების უმაგალითო აყვავებამდე.

დიდხანს არ სცხრება მქუხარე ოვაცია. **იგი კვლავ და კვლავ ძლიერდება, როდესაც დარბაზიდან სხვადასხვა ენებზე გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!", „გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!"**

„სალამი ამხანაგ სტალინის ერთგულ მოწაფეს ლავრენტი ბერიას!"

კიდევ დიდხანს გრიალებს დარბაზში ოვაციები. ყველა მონაწილე ფეხზე ამდგარი მხურვალედ მიესალმება საყვარელ, მშობლიურ დიდ **სტალინს.**

აპლოდისმენტების გრიალში, ფეხზე ამდგარნი ხვდებიან დამსწრენი საპატიო პრეზიდიუმში ამხანაგ **სტალინის** ერთგული თანამებრძოლების — ამხანაგების **ვ. მოლოტოვის, ლ. კაგანოვიჩის, კ. ვოროშილოვის, მ. კალინინის, ა. ანდრეევის, ს. კოსიორის, ა. მიქოიანის, ვ. ჩუბარის, ა. ჟდანოვის, ნ. ეჟოვის, ლ. ბერიას** და ამხანაგ **ტელმანისა** და **ხოზე დიასის** არჩევას.

შემდეგ შესავალი სიტყვით გამოდის რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე — საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი **ვ. ბაქრაძე,** რომელსაც დარბაზი გულთბილად ხვდება.

ამხ. ვ. ბაქრაძის სიტყვას არაერთხელ სწყვეტენ აპლოდისმენტები, როდესაც ის ლაპარაკობს კაცობრიობის დიად გენიოსებზე — **ლენინსა** და **სტალინზე,** დიდ გმირ რუს ხალხზე, საბჭოთა საქართველოს უდიდეს მიღწევებზე კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით, ამხ. ლ. **ბერიას** ხელმძღვანელობით. ის ლაპარაკობს ლენინურ-სტალინურ ბრძნულ ნაციონალურ პოლიტიკაზე, რომელმაც მიგვიყვანა საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალური კულტურების უმაგალითო აყვავებამდე.

— „ქართველი ხალხი მხურვალე სალამს, ერთგულებას, მეგობრობას და სიყვარულს უძღვნის დიდ რუს ხალხს. ჩვენ ვუგზავნით მხურვალე სალამს ჩვენს მეზობლებს აზერბეიჯანისა და სომხეთის ერებს, ჩვენ სალამს ვუძღვნით გმირ უკრაინელ ხალხს. დიდი **სტალინის** სამშობლო მიესალმება საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ერებს. რუსთაველის დღეები წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის ყველა ერების ურღვევი სტალინური მეგობრობის, მორალური და პოლიტიკური ერთიანობის მკაფიო დემონსტრაციას".

ამხანაგ ვ. ბაქრაძის ეს სიტყვები იფარება მთელი დარბაზის მქუხარე აპლოდისმენტებით. ყველა დამსწრე ფეხზე დგება და „ინტერნაციონალის" ჰიმნთან ერთად ტაშსა სცემს.

ამხანაგი ვ. ბაქრაძის შესავალი სიტყვის შემდეგ თემაზე „შოთა რუსთაველი და მისი შემოქმედება" მოხსენებით გამოდის პროფესორი **კ. კეკელიძე.** დამსწრენი დიდი ყურადღებით ისმენენ მის საინტერესო და შინაარსიან მოხსენებას.

მისასალმებელი სიტყვით გამოსული სსრკ საბჭოთა მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ვ. სტავსკი, რომელსაც აპლოდისმენტებით ხვდებიან, ამბობს:

— ჩვენ რუსთაველის საიუბილეო პლენუმზე ვმუშაობდით საქართველოს პარტიული ორგანიზაციების საქართველოს ბოლშევიკთა ხელმძღვანელის ამხანაგ ლ. პ. ბერიას მეგობრულ გარემოებაში და ჩვენ გეუბნებით გულითად სალამს. ჩვენ ვიყავით გორში, იმ სახლში, სადაც დაირწო დიდი **სტალინის** აკვანი, და ამ დაუვიწყარ წუთებში, ყოველი ჩვენგანი შეიგრძნობდა მთელს ცხოვრებას, და ამბობდა, რომ თვითეული ჩვენგანი ყველა თავის ძალებს შესწირავს **ლენინ-სტალინის** პარტიის საქმეს, კომუნიზმის საქმეს. უახლოეს დღეებში დავბრუნდებით ჩვენ-ჩვენ ადგილებზე, მაგრამ შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ მთელი გულით ქართველ ხალხთან, საქართველოს ბოლშევიკთა პარტიასთან, მის ნაცად ხელმძღვანელობასთან ვიქნებით.

ამხ. სტავსკის სიტყვებს მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი, მქუხარე ტაშით ხვდება.

ტრიბუნაზე თბილისის საორთქლმავლო დეპოს სტახანოველი-მემანქანე ამხ. **ვ. გომარელია.** ის გადასცემს რკინიგზის ტრანსპორტის მუშების, ინჟინერების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების სალამს.

პროფესორი **არნ. ჩიქობავა,** რომელიც პლენუმისადმი მისალმებით გამოდის, ამბობს:

— რუსთაველის პოემა — ჰიმნია სიყვარულისა, მეგობრობისა და ხალხთა ძმობისა. ეს ჰიმნი უცხოა ეროვნული კარჩაკეტილობისთვის, იგი ინტერნაციონალური და ამავე დროს უაღრესად ხალხურია. შორეულ წარსულში, დიდ გაჭირვებათა ჟამს, რუსთაველის ბრძნული სიტყვები გაისმოდა, როგორც ვაჟკაცობისა, თავდადებისა და გმირობისათვის მოწოდება. საუკუნეთა განმავლობაში ამ პოემას დევნიდნენ, მაგრამ ხალხის სიყვარულმა იგი დაიფარა და დიდებამოსილი ჩვენს დრომდე მოიტანა.

მხურვალედ შეხვდა საზეიმო სხდომა ამხ. **რილსკის,** რომელიც მისალმებით გამოვიდა მოძმე საბჭოთა უკრაინის მწერლების სახელით.

— თქვენთან ერთად, — ამბობს რილსკი, — ჩვენც ვზეიმობთ ამ შესანიშნავ, ამაღელვებელ თარიღს. ჩვენთვის, ყველასთვის ეს თარიღი ემთხვევა საბჭოთა კავშირის არსებობის 15 წლისთავს, საბჭოთა უკრაინის 20 წლისთავს. ეს თარიღები დაკავშირებულნი არიან ერთიმეორესთან ისევე, როგორც დაკავშირებულნი ვართ ჩვენ ყველანი — სტალინური ქვეყნის ადამიანები.

დღევანდელი სიხარული საქართველოსი—სიხარულია უკრაინისა; უკრაინის სიხარული — სიხარულია საქართველოსი. თვითეული ხალხის სიხარული მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა სიხარულია.

მთელი დარბაზის ტაშის გრიალში ამხ. რილსკიმ გადასცა პრეზიდიუმს პოლტავშჩინის ფეიქრების მიერ ოსტატურად მოქარგული ტილო შოთა რუსთაველის პორტრეტისა.

ამხ. რილსკიმ სიტყვა დაამთავრა ორსტრიქონიანი ლექსით.

დარბაზიდან მოისმის ძახილი: „გაუმარჯოს დიდ სტალინს". იფეთქა მქუხარე ოვაციამ, კვლავ ისმის ძახილი: „გაუმარჯოს მოძმე უკრაინის ხალხს".

დიდხანს გრძელდება ტაში და ოვაციები.

პოეტი გ. ლეონიძე გამოვიდა და წაიკითხა თავისი ლექსი „ვეფხის-ტყაოსანი".

ხელოვნების მუშაკთა სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს სსრკ სახალხო არტისტი, ორდენოსანი **აკ. ვასაძე.**

გულთბილად შეხვდნენ დამსწრენი ორდენოსანი პოეტის **გასემ ლახუტის** გამოსვლას. მან გაიხსენა რამდენიმე ხალხური თქმულება და ილაპარაკა საბჭოთა კავშირის ხალხთა დიად სტალინურ ძმობაზე. თავის სიტყვას გ. ლახუტი შემდეგნაირად ამთავრებს:

— მოდით ვისწავლოთ დიდი რუსთაველიდან. დასასრულ, მან წაიკითხა ნაწყვეტი თავის პოემიდან, რომელიც მან დასწერა რუსთაველზე.

ხანგრძლივი ოვაციებით შეხვდნენ საზეიმო სხდომის მონაწილენი უზბეკისტანის მშრომელთა დელეგაციას. ტრიბუნაზე ორდენოსანი სახალხო არტისტი **იშან ტურაევა.**

—თქვენ შეინარჩუნეთ და საუკუნეთა შორის გამოატარეთ დიადი პოემა შოთა რუსთაველისა, რისთვისაც ძმური მადლობა ქართველ ხალხს, უზბეკისტანის ხალხისაგან. ჩვენს მთებში, — განაგრძობს ორატორი, — არის შესანიშნავი მარმარილო, რომლითაც შევმოსავთ შოთა რუსთაველის ძეგლს.

ამხ. ი. ტურაევა ამთავრებს თავის სიტყვას შეძახილით ქართულ ენაზე:

— ვაშა სტალინს!

უზბეკთა დელეგაციის სახელით, მთელი დარბაზის ტაშის გრიალში გადასცეს ამხანაგ ლ. ბერიას და ფ. მახარაძეს უზბეკური ეროვნული ტანისამოსი.

აზერბეიჯანის დელეგაციიდან, რომელსაც დარბაზი აპლოდისმენტებით შეხვდა, სიტყვით გამოვიდა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატი ამხ. **ჩიმნაზ ასლანოვა.** აზერბეიჯანის მუშებისა, გლეხებისა, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის სახელით იგი მიესალმა საბჭოთა საქართველოს მშრომელებს. ორატორმა გადასცა პრეზიდიუმს, ამხანაგ ლ. ბერიას და ვ. ბაქრაძეს „ვეფხის-ტყაოსნის" შესანიშნავი გამოცემა აზერბეიჯანულ ენაზე.

ტრიბუნაზეა ორდენოსანი პოეტი **სამედ ვურგუნი.** აზერბეიჯანის ლიტერატურული საზოგადოებრიობისა და მშრომელების სახელით, იგი მხურვალედ მიესალმა მოძმე საქართველოს ხალხს, რომელმაც მოგვცა გენიალური შოთა რუსთაველი. **სამედ ვურგუნმა** წაიკითხა მის მიერ ნათარგმნი „ვეფხის-ტყაოსნის" ერთ-ერთი ნაწყვეტი.

დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა ამხ. სამედ ვურგუნის გამოსვლას.

ორდენოსანი მხატვრის— მ. თოიძის გამოსვლის შემდეგ, გამოჩნდა ყაზახსტანის სახალხო პოეტი, ორდენოსანი **ჯამბული,** რომელსაც მთელმა დარბაზმა გულთბილი შეხვედრა მოუწყო. მან დაუკრა დომრა და დამღერა შესანიშნავი ლექსი, ხალხთა მეგობრობაზე, დიდ სტალინზე. ამხ. **ჯამბულს** ლექსი არაერთხელ შეაწყვეტინეს მხურვალე აპლოდისმენტებით.

მისასალმებელი სიტყვებით გამოდიან: აჭარის მშრომელთა დელეგაციის სახელით ამხ. **ხ. ვაშაკიძე,** აფხაზეთის მშრომელთა დელეგაციის სახელით ამხ. **კ. ძიძარია,** სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა დელეგაციის სახელით ამხ. **ზ. ჩაბაევა.**

სომხეთის მშრომელთა დელეგაციის სახელით გამოვიდა ამხ ი პოღოსიანი, რომელსაც ტაშით შეხვდნენ:

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

თბილისის საქალაქო საბჭოს რუსთაველის საიუბილეო საზეიმო პლენუმი

(დასასრული)

— დღევანდელი დღესასწაული, —ამბობს ის, — ეს ხალხთა მთელი სტალინური ოჯახის დღესასწაულია. დღეს საბჭოთა სომხეთის მუშები, კოლმეურნენი და ინტელიგენცია დღესასწაულობენ შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის 750 წლისთავს, აქვეთ რა პოემის სრული თარგმანი სომხურ ენაზე. პოემამ ღირსეული ადგილი დაიჭირა სომხურ სახელმძღვანელოებში. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ ლენინ-სტალინის პარტიის მიერ დამყარებული ხალხთა ძმობა მტკიცე და ურღვევია.

ტროცკისტულ-დაშნაკური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური შპიონები ცდილობდნენ ნაციონალისტური შხამით მოეწამლათ ჩვენი ნათელი, სიხარულით აღსავსე ცხოვრება. ეს მათ ვერ მოახერხეს და ვერც მოახერხებენ, ვინაიდან ჩვენი ხალხთა მეგობრობა ხალხთა სტალინური მეგობრობაა, ვინაიდან ჩვენ გვხელმძღვანელობს ხალხთა დიდი ბელადი, ამხანაგი **სტალინი**, ვინაიდან ჩვენ გვეხმარება სტალინის მოწაფე, სომეხი ხალხის მეგობარი, ამხანაგი **ლავრენტი ბერია**.

დარბაზი მქუხარე ტაშით ჰფარავს ამხ. **ი. პოლოსიანის** გამოსვლას.

პლენუმზე ბრწყინვალე სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები **ვალერია გერასიმოვა** და **ლეონიდ სობოლევი**, რომლებსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

დიდი ყურადღებითა და ინტერესით მოისმინა ყველა დამსწრემ ესპანეთიდან ჩამოსული საბჭოთა მწერლის **ილია ერენბურგის** სიტყვა. იგი ლაპარაკობს იმ ბრძოლის გმირულ ეპიზოდებზე, რომელსაც აწარმოებს ესპანელი ხალხი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ფაშისტ დამპყრობელთა და ინტერვენტთა წინააღმდეგ ბრძოლაზე, იგი ლაპარაკობს დიდი პროლეტარული სოლიდარობის გრძნობაზე, რომელიც მჭიდროდ აკავშირებს მთელი მსოფლიოს მშრომელთ ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის ბრძოლაში.

— მთელი მშრომელი კაცობრიობის დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** სახელი სიმამაცის სიმბოლო გახდა, — ამბობს ამხ. ი. ერენბურგი, — და როდესაც მე შევეკითხე **სტალინის** სახელობის ბატალიონის მებრძოლს, თუ რატომ შევიდა ის ბატალიონში, მან მიპასუხა —„იმიტომ, რომ ჩვენ გვინდა მამაცები ვიყოთო“.

დარბაზში მხურვალე ტაშისცემაა, ისმის შეძახილები: **„გაუმარჯოს გმირ ესპანელ ხალხს!“**

მისალმებით გამოდიან პიონერები. მარშის მუსიკით ისინი იკავებენ ადგილებს პარტერში, დარბაზის იარუსებზე. თაიგულებით ხელში გამოდიან ისინი სცენაზე. პიონერთა სახელით მკაფიო სიტყვით გამოდის ფრიადოსანი **ოთარ ცანავა**.

* * *

საქართველოს სსრ ცაკის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. **ვ. ბუჯიაშვილი** აქვეყნებს საქართველოს სსრ ცაკის დადგენილებას იმ პოეტების დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც პოემა „ვეფხის-ტყაოსანი“ სთარგმნეს სსრ კავშირის ხალხთა ენებზე.

უდიდესი აღფრთოვანებით ხვდებიან შეკრებილნი წინადადებას — გაეგზავნოს მისალმება მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს**. მისასალმებელი წერილის ტექსტს კითხულობს სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ორდენოსანი ამხ. **ა. ხორავა**.

წერილის წაკითხვას მას არაერთხელ აწყვეტინებენ მთელი დარბაზის მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით. მთელი დარბაზი ფეხზე დგება საყვარელი, მშობლიური დიდი **სტალინისადმი** მხურვალე სიყვარულის საერთო გატაცებით. ისმის შეძახილები: **„გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!“, „გაუმარჯოს დიდ სტალინს“, „გაუმარჯოს დიად რუს ხალხს!“, „ქართული ვაშა დიად რუს ხალხს!“**

ეს მქუხარე ოვაცია, შეძახილები და ტაში უერთდება „ინტერნაციონალის“ მძლავრ ხმებს. მთელი დარბაზი მღერის პროლეტარიატის დიად ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

სსრ კავშირის ხალხთა ენებზე პოემა „ვეფხის-ტყაოსნის“ მთარგმნელთა დაჯილდოება

საქართველოს სსრ ცაკის დადგენილებით პოეტები, რომლებმაც სსრ კავშირის ხალხთა ენებზე სთარგმნეს პოემა „ვეფხის-ტყაოსანი“, დაჯილდოვებული არიან საქართველოს სსრ ცაკის სიგელებით და ფულადი ჯილდოებით. სიგელებით და ფულადი პრემიებით — 3.000 მანეთით თვითეული დაჯილდოვებული არიან პოემის მთარგმნელი უკრაინულ ენაზე მ. **ბაჟანი** და პოემის მთარგმნელი რუსულ ენაზე გ. **ცაგარელი**. საქართველოს სსრ ცაკის სიგელით და ფულადი პრემიით — 2.000 მანეთის რაოდენობით დაჯილდოვებულია პოეტი ნ. **ზაბოლოცკი**, რომელმაც „ვეფხის-ტყაოსანი“ სთარგმნა და დაამუშავა ახალგაზრდობისათვის რუსულ ენაზე. საქართველოს სსრ ცაკის სიგელებით და ფულადი პრემიებით — ათას-ათასი მანეთით დაჯილდოვებული არიან პოემის მთარგმნელები აზერბეიჯანულ ენაზე **სამედ ვურგუნი**, **მამედ რაჰიმი** და **სულეიმან რუსტამი**.

საქართველოს სსრ ცაკის სახელით მადლობა გამოეცხადა **ნ. ზარიანს** და **გ. სარიანს** — **გ. ახატურის** მიერ „ვეფხის-ტყაოსნის“ სომხურ ენაზე შესრულებული თარგმანის რედაქტორებს; **კ. ჭიჭინაძეს** — **პ. პეტრენკოს** მიერ რუსულ ენაზე შესრულებული თარგმანის რედაქტორს; **ვ. ელსნერს** — **გ. ცაგარელის** მიერ რუსულ ენაზე შესრულებული თარგმანის რედაქტორს.

აღნიშნულია მუშაობა პოეტებისა, რომლებმაც ნაწილობრივ შეასრულეს „ვეფხის-ტყაოსნის“ თარგმნა ბელორუსულ ენაზე — ამხ. აგნეც ვეტის, ალექსანდროვიჩის, ბროვკასი, გლებკოსი, გურლოსი, ქავრუკასა, კრაპივასი, უშაკოვისა, ხვედოროვიჩისა, კულეშოვისა, ასპუეიკისა; ბაშკირულ ენაზე — ამხ. გ. სალიამისა და ბ. ბიქბაისა; თათრულ ენაზე — ამხ. ა. ისხაკოვისა, შ. მანუროვისა, ა. ჯამილოვისა, ფ. ერიკეევისა, ბ. ხუზეევისა; ჩუვაშურ ენაზე — ნ. იანგასისა; უზბეკურ ენაზე — ამხ. ახუნდისა, მ. ტურსუნოვისა, გ. გულიამისა, ხ. რასუნოვისა, ა. უმარისა, გ. საათისა; ებრაულ ენაზე—ამხ. ფინენბერგისა; აფხაზურ ენაზე — ამხ. დ. გულიასი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს —

ამხანაგ ლ. ბერიას

სომხეთის მშრომელნი დღეს ენტუზიაზმით დღესასწაულობენ უდიდესი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილეს. ქართული ლიტერატურის ამ ზეიმში სსრ კავშირის ყველა ხალხები მთელ მსოფლიოს უჩვენებენ ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ძმური კულტურების ურღვევ ერთიანობას. ეს ღირსშესანიშნავი იუბილე წარმოადგენს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ნამდვილ ზეიმს, ხალხთა სტალინური მეგობრობის მჭერმეტყველურ მაჩვენებელს, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ყველა ხალხთა ძმურ ურთიერთ გამოხმაურებას. შოთა რუსთაველი, ქართველი ხალხის დიდი შვილი, სსრ კავშირის ყველა ხალხს ეკუთვნის და მისი იუბილე საბჭოთა კულტურის დიად დღესასწაულს წარმოადგენს. მისი გენიალური პოემა „ვეფხის-ტყაოსანი“,—ეს პოემა კაცობრიობის ახალი იდეალებისათვის ბრძოლისა, პოემა ძმობისა, მეგობრობისა და სიყვარულისათვის ბრძოლისა—ხალხის ცხოვრების სიღრმეში შეიჭრა და ნამდვილ ხალხურ თქმულებად იქცა.

გაუმარჯოს მოძმე ქართველ ხალხს, რომელმაც მისცა მსოფლიოს უკვდავი რუსთაველი!

გაუმარჯოს ხალხთა სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს, დიდ **სტალინს**!

სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი არუთინიანი

სომხეთის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ფირუზიანი

ერევანი.
1937 წ. 30 დეკემბერი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ტი —

ამხანაგ ლ. პ. ბერიას

საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მე-5 პლენუმი, რომელიც მზიურ თბილისში აღნიშნავს დიდი რუსთაველის ხსოვნას, მხურვალე სალამს უთვლის საქართველოს ბოლშევიკების კომუნისტურ პარტიას და თქვენ — მამაცი ქართველი ხალხის ღირსეულ ხელმძღვანელს.

ის რამდენიმე დღე, რაც ჩვენ აქ დავყავით და ვსწავლობდით დიდი პოეტის უკვდავ სტროფებს, ვეწაფებოდით საქართველოს ისტორიის შთამაგონებელ ძეგლებს და შევიგრძნობდით თვითეული ჩვენგანისათვის ყველაზე უფრო ძვირფასის — სტალინის ცხოვრებას,—ყველაზე ძვირფას მოგონებებად დარჩება ჩვენს გულში. ჩვენ—პოეტები, აშუღები, პროზაიკოსები, დრამატურგები, კრიტიკოსები, ტრიბუნაზე ავდიოდით, რათა გულისძგერით გაგვეზიარებინა ერთმანეთისათვის ჩვენი აღტაცება ძველი ქართული პოემის აზრებით, ჰანგებითა და სახეებით, მხიარული, ენერგიული ქართული სინამდვილით, რომელიც აშენებულია ხალხის ხელით საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით. ჩვენს წინაშე თითქოს გადაიშალა ზღაპრული საუნჯე, რომლის მარტო შეხება ყოველ ჩვენგანს ამდიდრებდა. დიადი შოთა ჩვენს შემოქმედებითს ცხოვრებაში შევიდა, ჩვენი სული იმსჭვალება მისი პოეზიით—და ამ უდიდეს ბედნიერებას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ქართველ ხალხს, რომელმაც შექმნა და მრავალი საუკუნის განმავლობაში შეინახა რუსთაველის პოემა, ისე როგორც ოკეანე ჰქმნის მარგალიტს. მაგრამ საქართველოს არ დაუმარხავს ეს მარგალიტი თავისი ოკეანის ფსკერში. მას ახსოვდა რუსთაველის ანდერძი—„რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“, და თავისი პოეზია მისცა მთელს მსოფლიოს ისე როგორც მისცა მას მთელი ზრახვები და ძალღონე თავისი დიადი შვილისა, **დიდგმირისა**, გიგანტისა, მძლავრი და უკვდავი **სტალინისა**, რომელმაც თავის არსებაში განასახიერა ყველა ხალხის ნებისყოფა.

აქ, ამ რუხ, ცისფერ და ჭაღარა მთებში დაიბადა მისი დიადი გული. შორს ჩრდილოეთში შეხვდა იგი მეორე დიად გულს—**ლენინის გულს**—და ორივემ, როგორც ორმა მზემ, გაუნათა გზა მშრომელთა მილიონებს, რათა, როგორც ლეგენდაშია, მათთვის უცნობი იყოს წყვდიადი დღისითაც და ღამითაც.

ჩვენ მკერდღია მივდივართ წინ ქარის შესახვედრად და თვითონ ვგრძნობთ, თუ როგორ უფრო-და-უფრო ვღონიერდებით, ვძლიერდებით და უფრო ბრწყინვალენი ვხდებით, დღითი-დღე, ვგრძნობთ, რომ არ არსებობს ისეთი სიმაგრენი, რომელთა აღებაც ჩვენ არ შეგვეძლოს.

არ არსებობს ისეთი სიძნელეები, რომელთა გადალახვაც არ შეეძლოთ საბჭოთა ადამიანებს. არ არსებობს ისეთი რამ, რასაც შეეძლოს შეაჩეროს ჩვენი წინსვლა კომუნიზმისაკენ.

გაუმარჯოს საქართველოს ბოლშევიკებს — დიადი ლენინურ-სტალინური პარტიის ერთერთ უერთგულეს რაზმს!

გაუმარჯოს ჩვენს შთამაგონებელ სამშობლოს!

გაუმარჯოს არწივისებურ საქართველოს და მის გენიოსს სტალინს, რომელიც მთელი კაცობრიობის გენიოსი გახდა!

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის დადგენილება

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წ. 28 დეკემბრის გადაწყვეტილებას მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ფაბრიკა-ქარხნების სტახანოველთა მიმართვის გამო, სთვლიან სავსებით და მთლიანად სწორად, და ღებულობენ სახელმძღვანელოდ და განუხრელად შესასრულებლად.

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო კომიტეტი და მოსკოვის საქალაქო კომიტეტი.

სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის

რუსთაველისადმი მიძღვნილი პლენუმი

ხალხთა მეგობრობის მეხოტბე

ჰუსაინოვის სიტყვიდან

ამხანაგებო, ბედნიერი ვარ გადმოგცეთ თქვენ, ქართველ ხალხს ოქტომბრის მიერ აღორძინებული უზბეკი ხალხის მხურვალე გულწრფელი სალამი (ტაში).

დღეს ჩვენ თქვენთან ერთად ვდღესასწაულობთ უდიდესი ნაწარმოების „ვეფხის-ტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლისთავის იუბილეს. ეს ზეიმი დღეს მთელ უზბეკისტანში ტარდება. დიდი ქართველი პოეტის იუბილეს ჩვენ მივეცით კულტურული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ჩვენში შეიქმნა მთავრობის საიუბილეო კომისია, რომელიც მუშაობს შოთა რუსთაველის ნაწარმოების პოპულარიზაციაზე (ტაში). ამ დღეებში ჩვენი კულტურის ისტორიაში პირველად გამოვიდა რუსთაველის ნაწარმოების ნაწყვეტთა კრებული უზბეკურ ენაზე.

ქართველმა ხალხმა აღზარდა შოთა რუსთაველი, რომელმაც ხოტბა შეასხა ხალხთა მეგობრობას. ამ მეგობრობისათვის ხოტბის შესხმა შეეძლო მხოლოდ იმ პოეტს, რომელიც თვითონ ხალხიდან გამოვიდა, რომელიც თვითონ ისწრაფვის ხალხთა მსოფლიო მეგობრობისაკენ.

უზბეკისტანისა და საქართველოს ბედიღბალი ძლიერ წააგავს ერთმანეთს: ჩვენი ქვეყნების ტერიტორიაზე გადიოდა მსოფლიო გზები აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ორივე ქვეყანას განუცდია ალექსანდრე მაკედონელის, თემურისა და სხვა დამპყრობთა ურდოების გამანადგურებელი თავდასხმები.

ჩვენი ხალხები გმირულად იბრძოდნენ დამპყრობელთა წინააღმდეგ. მათ მტკიცედ ჰქონდათ შეგნებული, რომ თვითეული ეროვნების გამარჯვების საწინდარია მათი ერთიანობა და შეკავშირება საერთო მტრის წინააღმდეგ. ხალხთა მეგობრობისადმი ამ მისწრაფებას მიხვდა და ხოტბა შეასხა ქართველი ხალხის დიდმა გენიოსმა შოთა რუსთაველმა. ამით არის იგი ჩვენთვის ძვირფასი. ამისთვის გვიყვარს იგი და ვაფასებთ.

ბურჟუაზიული ნაციონალისტები აღვივებდნენ ეროვნულ შუღლს. ფაშიზმის ეს საზიზღარი მსახურნი ქადაგებდნენ აღმოსავლეთის თვითმყოფობის თეორიას, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი არ გამოდგება აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის, უზბეკისტანის ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლისათვის.

მე მინდა ვილაპარაკო დიდი ქართველი პოეტის ნაწარმოების ნაციონალური რესპუბლიკების ენებზე, შუა აზიის ენებზე თარგმნის შესახებ. ეს ტექნიკური საკითხი არ არის, ეს დიდი პოლიტიკური და კულტურული საკითხია.

ამხანაგებო, ჩვენმა დიდმა სტალინმა საუცხოოდ განსაზღვრა შუა აზიის საბჭოთა ნაციონალური რესპუბლიკების, ყოფილი თურქესტანის მნიშვნელობა. მან სთქვა, რომ თურქესტანი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით წარმოადგენს ხიდს, რომელიც საბჭოთა კავშირს კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ აღმოსავლეთთან აერთებს.

სოციალიზმის გამარჯვება ამ რესპუბლიკებში აუცილებლად ახდენს გამარევოლუციურებელ გავლენას აღმოსავლეთის კოლონიებისა და ნახევრადკოლონიების მასების შეგნებაზე. ამ აზრით შოთა რუსთაველის პოემის გადათარგმნას საბჭოთა აღმოსავლეთის ხალხთა ენებზე უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

შოთა რუსთაველის პოემის თარგმნა უზბეკურ, ტაჯიკურ და თურქმენულ ენებზე წარმოადგენს ამ პოემის თარგმნის დასაწყისს მთელი კოლონიური აღმოსავლეთის ხალხთა ენებზე (ტაში).

უზბეკისტანში სწარმოებს მზადება შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციისათვის. ამ კონფერენციას იწვევს უზბეკისტანის მეცნიერებათა კომიტეტი, უზბეკისტანის სსრ საბჭოთა მწერლების კავშირთან ერთად. საქართველოს მეცნიერებსა და მწერლებს ვთხოვთ მონაწილეობა მიიღონ ჩვენს მუშაობაში.

არის მოსაზრება, რომ, როდესაც პერსისხლიანმა თემურმა გაანადგურა საქართველო, სხვა კულტურულ განძებთან ერთად წაიღო შოთა რუსთაველის ხელნაწერის დედანიც. ამჟამად უზბეკისტანში სწარმოებს ხელნაწერთა ყველა საცავის გულმოდგინედ შემოწმება, და თუ აღმოჩენილი იქნება დიდი პოემის დედანი, ჩვენ უდიდესი სიხარულით დავუბრუნებთ ამ კულტურულ სიმდიდრეს ქართველ ხალხს, რათა შესაძლებელი გახდეს ამ გენიალური ნაწარმოების უფრო სრულად ათვისება **(მქუხარე ტაში)**.

ჩვენ ვიყავით დიდი სტალინის აკვანთან გორში. იქ ბევრი რამ ამაღელვებელი გვიამბეს და ჩვენ დიდი სიყვარულით გადავცემთ ყოველივე ამას ჩვენს მებამბეებს უზბეკისტანში.

ჩვენ გვიამბეს, რომ დიდი სტალინი ყრმობაში გატაცებული იყო შოთა რუსთაველით, მუდამ კითხულობდა მის ნაწარმოებს, ხატავდა მის პორტრეტებს და თავას მეგობრებს ურიგებდა. ყოველივე ეს მას უდიდეს პოეტურ აღმაფრენას ჰგვრიდა. ხოლო რაც პოეტურ აღმაფრენას ჰგვრის ხალხთა ბელადს, იგი აღაფრთოვანებს ხალხსაც. ვინაიდან ჩვენი ბელადი განუყოფელია ხალხისაგან, ისევე, როგორც ხალხი განუყოფელია თავისი ბელადისაგან. ამხანაგი სტალინი ჩვენი სიბრძნეა, ჩვენი ძლიერებაა **(მქუხარე ტაში)**.

ამხანაგებო, მე ბევრი რამისთქმა მინდოდა რუსთაველის ნაწარმოების შესახებ, მაგრამ ახალს რას მივუმატებ იმ სიტყვებს, რაც აქ იყო თქმული. ვიტყვი ერთს და ეს იქნება რუსთაველის ნაწარმოებისადმი ჩვენი გრძნობის სრული გამოხატულება. განვამტკიცოთ, ამხანაგებო, ჩვენი მეგობრობა, გვიყვარდეს ერთმანეთი ისე, როგორც უყვარდათ ერთმანეთი ტარიელსა და ავთანდილს.

ამხანაგებო, ასეთი სიყვარული ჩვენში უკვე არის და იგი უფრო და უფრო განმტკიცდება. ეს გვიჩვენა ხალხმა სსრკ უზენაესი საბჭოს არჩევნების დროს, როცა ერთსულოვნად მისცა ხმა ლენინ-სტალინის პარტიას. ამ მეგობრობასა და სიყვარულს შემდეგშიაც განვამტკიცებთ, და ნუ იფიქრებენ ფაშისტი ბარბაროსები, რომ ისინი მოახერხებენ ჩვენი მეგობრობის დარღვევას. არა, ჩვენი მეგობრობა მტკიცეა და არავის არ მივცემთ მისი ხელყოფის ნებას.

ვიყოთ ფხიზელნი, ამხანაგებო, გამოვამჟღავნოთ და გავანადგუროთ ხალხის მტრები! (ტაში).

გაუმარჯოს დიდ რუს ხალხს, რომელმაც მოგვცა გენიალური ლენინი! **(ხანგრძლივი ტაში)**.

გაუმარჯოს ქართველ ხალხს, რომელმაც მთელი მსოფლიოს ხალხებს მისცა დიდი ლენინის ერთგული მოწაფე ამხანაგი სტალინი! **(ხანგრძლივი ტაში. ოვაცია ამხანაგი სტალინის პატივსაცემად)**.

საიუბილეო პლენუმის მონაწილენი: პოეტი ორდენოსანი სამედ ვურგუნი (აზერბეიჯანი) ესაუბრება კაზახთა ცნობილ აკინს (პოეტს) ჯამბულს. ფოტო დოროფეევისა და ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ზეიმი

რევოლუციის დიადი მონაპოვარია ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ბედნიერ ხალხთა მძლავრი და ურღვევი მეგობრობა. ცოცხლობს, დღეგრძელობს, მტკიცდება და განუხრელად ვითარდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი! ზეიმობს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკა, რომელმაც წინათ ჩაგრული ხალხები უმეცრებისა და სიღატაკის წყვდიადიდან სიხარულით აღსავსე სოციალისტურ ცხოვრებაში გამოიყვანა.

საუკუნოდ გაჰქრა ცარიზმის ბარბაროსული სისტემა, ნაციონალური განაპირა მხარეების აღვირახსნილი ექსპლოატაციისა და ძარცვის სისტემა, ნაციონალური ჩაგვრის და მონობის სისტემა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე შესძლო წარმატებით გადაეჭრა ნაციონალური საკითხი, შეექმნა ყველა პირობა მშრომელი მასების აყვავებისათვის, უზრუნველეყო მშვიდობიანი მშენებლობა და ჩვენი მშვენიერი სამშობლოს ყველა ერის, ნაციონალური ჯგუფისა და ეროვნების ძმური თანამშრომლობა. ცოცხალი, სოციალიზმით ხორცშესხმული, სოციალიზმით ამსჭვალულია ერთიან მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ მჭიდროდ დარაზმული თერთმეტივე სრულუფლებიანი საბჭოთა რესპუბლიკის მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის შრომა და ყოფაცხოვრება.

საუკუნეთა მანძილზე მედგარ ბრძოლაში დიადი რუსი ხალხი და ჩვენს ქვეყანაში მოსახლე სხვა ხალხები ჰქმნიდნენ თავის ვრცელ ცენტრალიზებულ სახელმწიფოს, რომელსაც უნარი შესწევდა გამკლავებოდა უცხოელთა შემოსევას, ყოველი მტრის შემოსევას. რუსეთის სახელმწიფოს კანონიერ მემკვიდრეებს წარმოადგენენ სსრ კავშირის ხალხები. საბჭოთა ხელისუფლების ოცი წლის მანძილზე სსრ კავშირის მშრომელებმა განამტკიცეს და გაამაგრეს თავისი დიადი, მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლო.

[illegible] გვაგონებს 1922 წლის 30 დეკემბრის ისტორიულ დღეს, როდესაც სსრ კავშირის საბჭოების პირველ ყრილობაზე ერთსულოვნად დამტკიცებულ იქნა ამხანაგ სტალინის მოხსენების მიხედვით ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ. ბოლშევიკთა პარტია, ლენინი და სტალინი იყვნენ სული და გული, ორგანიზატორები და ხელმძღვანელები რესპუბლიკების ძმური თანამშრომლობისა, მათი სამხედრო-სამეურნეო და პოლიტიკური ერთიანობისა. დღემდეც საზეიმოდ და ამაღელვებლად გაისმის დეკლარაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ, ამხანაგ სტალინის მიერ წაკითხული და ყრილობის მიერ მიღებული.

რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ დეკლარაციისა და ხელშეკრულების მიღების დღე გახდა „ახალი რუსეთის ზეიმის დღე, რუსეთისა, რომელმაც დაამსხვრია ნაციონალური ჩაგვრის ბორკილი, მოაწყო კაპიტალიზმზე გამარჯვება, შექმნა პროლეტარიატის დიქტატურა, გამოაღვიძა აღმოსავლეთის ხალხები, აღაფრთოვანა დასავლეთის მუშები, გადაქცია წითელი ბაირაღი პარტიული დროშიდან სახელმწიფოებრივ დროშად და ამ დროშის ირგვლივ დარაზმა საბჭოთა რესპუბლიკების ხალხები იმისათვის, რომ გააერთიანოს ისინი ერთ სახელმწიფოდ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად, მომავალი მსოფლიო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პირველსახედ“.

ასე ამბობდა სტალინი, და ეს სიტყვები კიდით კიდემდე მოეფინა ჩვენს სამშობლოს, ასულდგმულებდა მშრომელთა თავდადებული მუშაობისათვის სამხედრო ძლიერებისა და სამეურნეო ძლიერების შესაქმნელად, სოციალისტური სახელმწიფოს განსამტკიცებლად. მხოლოდ ბოლშევიკთა პარტიის მეთაურობით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით, ინტერვენტებისა და თავისი ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ მჭიდრო კავშირში, ერთიანი ფრონტით გამოსვლით, ნაციონალური რესპუბლიკების მშრომელებმა დაიცვეს თავისი არსებობის უფლება და დევური ნაბიჯებით გასწიეს წინ, ბედნიერი და შეძლებული ცხოვრების მწვერვალებისაკენ.

ერთიანი დამაკავშირებელი ძაფია გაბმული სსრ კავშირის საბჭოების პირველი ყრილობიდან საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობამდე, რომელმაც დაამტკიცა ჩვენი ცხოვრების ურყევი კანონი—სტალინური კონსტიტუცია. რა გენიალური შორსგამჭვრეტელობით, რა სიბრძნით მიჰყავდათ და მიჰყავთ ამხანაგ სტალინს, ბოლშევიკთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და საბჭოთა მთავრობას საბჭოთა კავშირის ხალხები ძმური თანამშრომლობის გზით ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო ერთიანობის ბაზაზე, სოციალიზმის ბაზაზე.

ძირფესვიანად შეიცვალა სსრ კავშირის ხალხთა სახე. შეხედეთ დიადი საბჭოთა კავშირის რუკას! იქ, სადაც წინათ მეფობდნენ პატრიარქალობა და სიველურე, სიღატაკე და უკულტურობა, იქ სტალინური ხუთწლედების წლებში შექმნილია ინდუსტრიული კერები, აშენებულია, და შენდება ახალი ქალაქები, იფურჩქნება კულტურა,—ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური, სდუღს და გადმოდის სისხლჩარბი, სიხარულით აღსავსე ცხოვრება! საბჭოთა კავშირის ხალხები, რომლებსაც ხელმძღვანელობს ბოლშევიკური პარტია, ანადგურებენ რა ტროცკისტ-ბუხარინელ ბანდიტებს, ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს ყველა ჯურისა და სახის მტრებს, ძლევამოსილად აშენებენ სოციალიზმს.

ჩვენს ქვეყანაში არ არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, არ არის ხალხთა დაყოფა გაბატონებულ და ჩაგრულ ხალხებად. ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელთ მიცემული აქვთ თანასწორი უფლებანი, რომლებიც აღბეჭდილია სოციალიზმის დიად კანონში — სტალინურ კონსტიტუციაში.

სწრაფი ზრდა სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში დამახასიათებელია ყველა საბჭოთა რესპუბლიკისა, რომლებშიც გაყვანილია რკინიგზის ახალი მაგისტრალები, აღმოჩენილია და მუშავდება ძვირფასი მადნეულის, ქვანახშირის, ნავთის უდიდესი მარაგი, აგებულია ქარხნები, ფაბრიკები, სკოლები, თეატრები, უნივერსიტეტები, კულტურის სახლები... ამჟამად აზერბეიჯანის საშუალო სკოლებში სწავლობს 35-ჯერ უფრო მეტი ბავშვი, ვიდრე ოქტომბრის დიდ სოციალისტურ რევოლუციამდე სწავლობდა. უზბეკეთში—53-ჯერ მეტი, სომხეთში — 68-ჯერ მეტი და ყირგიზეთში — 172-ჯერ მეტი.

რუსეთის გმირი, თავდადებული მუშათა კლასი დაეხმარა რუსეთში მოსახლე ყველა ხალხებს საბოლოოდ გადაეგდოთ ნაციონალური ჩაგვრის უღელი, თავი დაეღწიათ „თავისი“ და „უცხო“ დამმონავებლებისაგან, დაეხმარა შეექმნათ სოციალისტური ინდუსტრიის კერები და განემტკიცებინათ საკოლმეურნეო წყობილება, აღზარდა ნაციონალური კადრები და ასწავლა მათ. ორი სტალინური ხუთწლედის მანძილზე ნაციონალური რესპუბლიკების სამრეწველო და კულტურულ მშენებლობაში მრავალი მილიარდი მანეთია დაბანდებული.

მეფის რუსეთი მუშებისა და გლეხებისათვის „ხალხთა საპყრობილე“ იყო. საყვარელ მამულს, დედასამშობლოს წარმოადგენს ჩვენი ქვეყანა ყველა მშრომელისათვის. სიამაყისა და სიხარულის გრძნობა, საკუთარი ღირსებისა და ძმური ინტერნაციონალური სოლიდარობის გრძნობა მოისმის რუსის, უკრაინელის, ბელორუსის, ქართველის, სომეხის, აზერბეიჯანელის, უზბეკის ტაჯიკის, თურქმენის, ყაზახის, ყირგიზის სიტყვებში, ჩვენი ქვეყნის სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების სიტყვებში. თავისუფალი სოციალისტური ადამიანის სიტყვებში: „მე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქე ვარ“. და მოვალეობისა და მოქალაქეობრიობის ეს მაღალი შეგნება, თავდადებული სიყვარული ლენინ-სტალინის პარტიისადმი, მონოლიტობა და ერთიანობა შესანიშნავად ბრწყინვალედ და მტკიცედ დემონსტრირებულ იქნა 1937 წლის 12 დეკემბერს უზენაესი საბჭოს არჩევნების დაუვიწყარ დღის.

წყნარი ოკეანედან შავ ზღვამდე, ჩვენი სამშობლოს ჩრდილო საზღვრებიდან სამხრეთამდე, დასავლეთ საზღვრებიდან აღმოსავლეთამდე, — ყველგან საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად მისცა ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს. დაახლოებით 90 მილიონმა კაცმა მისცა ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებში. ამ მნიშვნელოვან ციფრში ყოველგვარ სიტყვებზე უკეთესად გამოხატულია საბჭოთა ხალხების სიყვარული და მეგობრობა, მათი უსაზღვრო ნდობა ბრძოლებში გამოწრთობილი ლენინ-სტალინის პარტიისადმი, რომელსაც გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიჰყავს მშრომელნი.

ნაციონალური რესპუბლიკების საუკეთესო, შესანიშნავ ადამიანთა სახელები ცნობილია მთელი ჩვენი სამშობლოსათვის. ისინი მთელი საბჭოთა კავშირის სიამაყეს და დიდებას წარმოადგენენ. ბევრ მათგანს წილად ხვდა პატივი არჩეული ყოფილიყვნენ უზენაეს საბჭოში. თავისუფალი, შემოქმედებითი ცხოვრების სიხარული გამოხატა კოლმეურნე ქალმა კალიმა აპანკულოვამ, უზენაესი საბჭოს დეპუტატმა:

„ჩემი ცხოვრება ბედნიერი ცხოვრებაა! ზოგჯერ დედა მეუბნება: „შვილო, ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ დაბადებულიო“. არა, ამაში როდია საქმე. ყირგიზ-ქალზე იზრუნა არა ზეცამ, არამედ საბჭოთა ხელისუფლებამ. როგორ ვცხოვრობდით წინათ? ჩვენ გვყიდდნენ იმათზე, ვინც არ გვიყვარდა, გვცემდნენ, ვისაც კი არ ეზარებოდა, დაგვცინოდნენ. ვინ გაბედავს ეხლა ეს ჩაიდინოს? ახლა ჩვენ სრულუფლებიანი ადამიანები ვართ, სტალინურმა კონსტიტუციამ განგვიმტკიცა უფლება შრომისა, დასვენებისა და განათლებისა. ყოველივე ეს მოგვცა დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ, ყოველივე ეს მოგვცა ლენინ-სტალინის პარტიამ“.

მაგრამ იზრდება ნაციონალურ წინააღმდეგობათა კვანძი კაპიტალიზმის სამყაროში და სიკვდილს უქადის ამ მგლურ წყობილებას. და სულ უფრო და უფრო მძლავრი, სულ უფრო და უფრო უხვი ხდება ჩვენი ქვეყანა, რომლის ხალხებიც ერთსულოვნად ცხოვრობენ და ერთსულოვნად აშენებენ და აშენებენ კომუნიზმს. ამის საწინდარია საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობა!

„პრავდის“ მოწინავე, 30/XII

◆

ამხ. ნ. პოგოდინის სიტყვიდან

ამხანაგებო! მე პირდაპირ საქმიდან დავიწყებ. დღეს ჩვენ, რუსი დრამატურგები, თითქოს შევუთანხმდით ქართველ დრამატურგებს იმაზე, რომ ჩვენი სცენისათვის, ჩვენი თეატრისათვის ვთარგმნოთ საუკეთესო ქართული და რუსული პიესები. ეს ძალიან დიდი საქმეა და ჩვენ მას ღირსეულად განვახორციელებთ.

20 წლის მანძილზე, ეს კი ლიტერატურის ისტორიისათვის ძალიან მცირე დროა, — ორი რესპუბლიკის — რუსეთის სფსრ და საქართველოს სსრ — დრამატურგებმა დიდძალი ახალი ნაწარმოები შექმნეს სცენისათვის. მათ შორის ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ რამდენიმე საუკეთესო, სანიმუშო პიესა: „ანზორი“, „არსენა“, „ქარიშხალი“, „ლიუბოვ იაროვაია“ და სხვ. საბჭოთა დრამატურგიის ეს საუკეთესო ნაწარმოებნი ჯერ კიდევ დიდხანს იცოცხლებენ და სიხარულს მოჰგვრიან საბჭოთა მაყურებელს.

რუს და ქართველ დრამატურგებს შორის აზრთა გაცხოველებული გაზიარებიდან უდავოდ გამოირკვა [illegible] შემდეგი: ჩვენი საბჭოთა მაყურებელი მოწყურებულია ახალ, ნათელ, სიხარულით გაჯღენთილ დრამატიულ ნაწარმოებებს.

დრამაში, რა თქმა უნდა, თავისი დიდი მნიშვნელობა ექნება ისტორიულ თემას, იგი მომავალშიაც დამუშავდება და განვითარდება. მაგრამ დრამატიულ ნაწარმოებში ჩვენ უკვე უშუალოდ უნდა მივუდგეთ თანამედროვე თემებს. ჩვენ მოწოდებული ვართ შევქმნათ ჩვენი ეპოქის გმირის მკვეთრი სცენიური სახე, ადამიანის მარტივი სახე და ამ სახეს ჩვენ შევქმნით.

საჭიროა ახლა აგრეთვე ვწეროთ დრამები სიყვარულზედაც. ადამიანებს ხომ უყვართ, უყვართ საინტერესოდ, ლამაზად, ჩვენ კი დრამატურგები, რაღაც უნდობლობით ვეკიდებით ამ გრძნობას, განზე ვტოვებთ თემას ჩვენი დროის, ჩვენი ეპოქის ადამიანთა სიყვარულის შესახებ.

უდიდესი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის პოემა გვასწავლის, თუ როგორ შეიძლება მივსცეთ სიყვარულის თემაზე ეპოქის არსი.

ჩვენ ვლაპარაკობდით აგრეთვე იმაზე, რომ არ უნდა დავივიწყოთ სასცენო ნაწარმოებთა მეორე ჟანრიც — კომედია, მხიარული, ცოცხალი კომედია.

როდესაც ჩვენ ასე საქმიანად ვუთანხმდებოდით ერთმანეთს, ჩვენთვის სასიხარულო იყო იმის შეგნება, რომ დღეს თბილისელი და მოსკოველი მაყურებელი ოვაციებით ხვდება ლენინისა და სტალინის სასცენო სახეებს.

სასიხარულო იყო ისიც, რომ ჩვენ ერთმანეთი გვესმის, გვიყვარს ჩვენი საქმე და გვინდა ვიმუშაოთ შეთანხმებულად საბჭოთა თეატრის ახალი წარმატებებისათვის. (ტაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის რუსთაველისადმი მიძღვნილი პლენუმი

ყოველი გენიალური მხატვარი მუდამ თანამედროვეა

ჯ. ალტაუზენის სიტყვიდან

ამხანაგებო, ჩვენთვის, რუსი საბჭოთა პოეტებისათვის, რომელთა წინაშე, თუ ისტორიულ ვადებს ავიღებთ, შედარებით ცოტახნის წინათ გადაიშალა ქართული კულტურის მთელი განსაცვიფრებელი სულიერი და პოეტური სიუხვე და შოთა რუსთაველის პოემის ოქროს ფურცლები, ძალიან ძნელია, ამ პლენუმზე გამოსვლისას, თავი შევიკავოთ ალტაცებისაგან ქართველი ხალხის ნათელი გენიის წინაშე, ხალხისა, რომელმაც ეს მსოფლიო საუნჯე გამოატარა თავისი ისტორიის მთელ მძიმე პერიპეტიებზე.

და იმისათვის რომ ამ შესანიშნავმა ხალხმა რუსთაველის გენიალური ქმნილება მთელი კაცობრიობისათვის შეინარჩუნა, იმისათვის, რომ 750 წლის განმავლობაში თაობიდან თაობას გადასცემდა ამ სიბრძნის საგანძურს, ჩვენი თვალუწვდენი, მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა სახელით, მთელი პროგრესიული კაცობრიობის სახელით მხურვალე მადლობა უნდა ვუძღვნათ დიად, სახელგანთქმულ, ლეგენდარულ, გმირ ქართველ ხალხს. **(მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

ჩვენმა საბჭოთა ხალხმა, გაინთავისუფლა რა თავი ექსპლოატაციის საუკუნოებრივი ხუნდებისაგან და ხელი მოჰკიდა რა სამყაროს გარდაქმნას სოციალისტურ საფუძვლებზე, ამ გარდაქმნის პროცესში შესძლო ისეთი მაღალი იდეური და სულიერი მწვერვალების მიღწევა, რომ კაცობრიობის კულტურის ყველა უმწვერვალესი მოვლენები არათუ ხელმისაწვდომი გახდა მისთვის, არამედ მის გრანდიოზულ ამოცანებთან შეხმატკბილებულიც.

და როდესაც ჩვენ ვიხილავთ შოთა რუსთაველის უჭკნობ ნაწარმოებს „ვეფხის-ტყაოსანს", რომელსაც თავისი შემეცნებითი მნიშვნელობით, თავისი მხატვრული ღირებულებით, ხალხური ეპოსის სისადავეს უმაღლეს პოეტურ კულტურასთან შეერთებით, სახეთა სილამაზით, სიუჟეტის მომხიბლავი ფანტასტიკურობით მსოფლიო კულტურაში ბადალი არ მოეპოვება, ირკვევა, რომ იგი ამავე დროს უაღრესად რეალისტურია.

მიუხედავად ზებუნებრივობის ელემენტებისა, რომლებითაც გამსჭვალულია მთელი პოემა, მასში არ არის არავითარი საშუალოსაუკუნოებრივი მისტიციზმი, რელიგიური ურჯუკობა და მონასტრული ფანატიკურობა. ეს პოემა კი დაწერილია იმ დროს, როდესაც ჩვენს პლანეტაზე ადამიანთა უმრავლესობას ეჩვენებოდა, რომ ადამიანთა ცხოვრებისა და ადამიანთა ისტორიის ძირითადი მამოძრავებელი კანონები იმალება არა აქ, დედამიწაზე, არა სინამდვილის რეალურ ხლართებში, არა ადამიანის ბუნების, როგორც მათ ეგონათ, მდაბალ მხარეებში, არამედ სადღაც იქ, მისტიკური ბურუსით მოცულ უმაღლეს სამყაროში. ხოლო არავითარი ასეთი მისტიციზმი არ გვხვდება შოთა რუსთაველის პოემაში, რომელიც გამსჭვალულია საოცარი მზიური ანტიკურობით, რაღაც ელინური სიფაქიზითა და კეთილშობილებით **(ტაში).** იქ ვერ ნახავთ ძველი რაინდული რომანების ტრადიციულ გმირებს, რომელთა იდეალები რაღაც უსისხლხორცო მოჩვენებებია. რუსთაველის გმირები—ეს ცოცხალი ადამიანები არიან და, რაც განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის, სოციალისტური სამშობლოს ადამიანებისათვის, ბრძოლისუნარიანნი, ამაყნი, უშიშარნი, რომლებმაც იციან საზოგადოებრივი მოვალეობის ფასი, თავდადებული არიან მეგობრობაში, უსაზღვროდ ერთგულნი სიყვარულში, მათს სიმამაცეს საზღვარი არა აქვს, ცხოვრება მათთვის ნიშნავს დაუღალავ ბრძოლას დასახული მიზნების განსახორციელებლად. **(მქუხარე ტაში).**

გაიხსენეთ რა დიდსულოვნობას და ზნეობრივ სიფაქიზეს იჩენს ნესტან-დარეჯანი. ტარიელს მტრის შესამუსრავად რომ ჰგზავნის, იგი ამავე დროს სთხოვს მას, რომ ერთი წვეთი უდანაშაულო სისხლი არ დაღვაროს. ხოლო ამავე დროს რა მტკიცეა იგი თავისი მიზნის მიღწევაში, რა მიზანმიმსწრაფი და მედგარი!

თუ ყოველივე ამას დავძენთ, რომ მთელი პოემა გამსჭვალულია ჰუმანიურობის სულით, ცხადი გახდება, რომ ეს პოემა შეიძლებოდა აღმოცენებულიყო მხოლოდ ისტორიული გაზაფხულის ვითარებაში. ახლა ჩვენ ბევრი მეცნიერული შრომით ვიცით, რომ რუსთაველის ქმნილება, რომელიც ქართველ ხალხს ყოველგვარ ჭირსა და განსაცდელში ასულდგმულებდა, აღორძინების ეპოქის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს, მაგრამ ჩვენამდე კიდევაც რომ არ მოეღწია იმ დოკუმენტებს, რომლებიც მოწმობენ, რომ ქართველმა ხალხმა ერთერთმა პირველმა იწყო განთავისუფლება საშუალოსაუკუნოებრივობის ცრურწმენათაგან, რომ დედამიწის ზურგზე მან პირველმა, ევროპის ხალხებზე ბევრად უფრო ადრე, შესდგა ფეხი საშუალოსაუკუნოებრივობიდან აღორძინების ეპოქაში, სულერთია, „ვეფხის-ტყაოსანი" მაინც თვალსაჩინოდ დაადასტურებდა ამას.

ამხანაგებო, ყოველი გენიალური მხატვარი მუდამ თანამედროვეა. ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასი და მახლობელია ხალხთა ძმობის იდეები, რომლებსაც რუსთაველის პოემა შეიცავს, მისი გმირობისა და ბრძოლის იდეები, რის გარეშეც გამარჯვების მოპოვება არ შეიძლება.

რუსთაველმა, დედამიწაზე ამ ერთერთმა უდიდესმა ჰუმანისტმა, პირველმა დააყენა მთელი სიგრძე-სიგანით ხალხთა ძმობის საკითხი. მის პოემაში ვხვდებით ინდო ტარიელსაც, არაბ ავთანდილსაც, თურქებსაც, ირანელებსაც, ხატაელებსაც, ხვარაზმელებსაც. და მათ შორის არათუ არ არის ნაციონალური შუღლი, არამედ ისინი ძმებივით ცხოვრობენ. არაბი ავთანდილი სტოვებს თავის საქმეებს, თავის სატრფო თინათინს, არაერთხელ საფრთხეში აგდებს თავის სიცოცხლეს, რათა დაეხმაროს გაჭირვებაში ჩავარდნილ ინდო ტარიელს.

ხალხთა ძმობის ეს იდეები, რომლებსაც პოემა შეიცავს, განსაკუთრებით ძვირფასი და მახლობელია ჩვენთვის, მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის, რომლებსაც მხურვალედ, ძმური სიყვარულით უყვართ კაცობრიობის ყველა ჩაგრული ერები **(ტაში).**

ხოლო გმირობისა და ბრძოლის იდეები განა არ ეხმატკბილება მთელ საერთაშორისო პროლეტარიატს? გაიხსენეთ ავთანდილის შესანიშნავი სიტყვები: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი". განა ეს სიტყვები არ ეხმაურება დოლორეს იბარურის სიტყვებს: „უმჯობესია ფეხზე მდგომი მოკვდე, ვიდრე დაჩოქილი ცოცხლობდე". **(მქუხარე ტაში).**

ძვირფასო ამხანაგებო, სწორედ იმიტომ, რომ რუსთაველი თავისი ძირითადი იდეებით ჩვენი თანამედროვეა, ჩვენ ვალდებული ვართ მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილ პლენუმზე დავაყენოთ თანამედროვე საბჭოთა პოეზიის საკითხები. ჩვენი შესანიშნავი პოეზია განუწყვეტლივ იზრდება. მაგრამ მასში მოიპოვება ზოგიერთი ნაკლიც, რომელსაც არ შეიძლება გვერდი ავუხვიოთ. განა არ ცდილობდნენ ბ. პასტერნაკის მსგავსი სხვადასხვა ბურჟუაზიული დეკადენტები ჩამოეშორებინათ საბჭოთა პოეზია პუშკინის ხალხურობის ტრადიციებისაგან, განა არ ცდილობდნენ, „ცისფერ ყანწელთა" ნამსხვრევები ჩამოეშორებინათ ქართული პოეზია შოთა რუსთაველის ტრადიციებისაგან, მოექციათ იგი ბურჟუაზიული ენაბრგვილობის, სქოლასტიკისა და მისტიკის ჩიხში, განა არ ცდილობდნენ დასავლეთ ევროპული დეკადანსის დამპალი ნაშიერები, სამგზის საზიზღარი პ. იაშვილი და ტიციან ტაბიძე—შეეცვალნათ რუსთაველის უჭკნობი სიყვარული ადამიანისადმი, ხარბი, საზიზღარი სიყვარულით თავის თავისადმი—საბჭოთა პოეზიაში ბურჟუაზიული დეკადენტობის ნაშთების აღმოფხვრა, დეკადენტობისა, რომელიც პოეზიას რუსთაველისა და პუშკინის ხალხურობის ტრადიციებს აშორებდა,—ასეთია ჩვენს წინაშე მდგომი ერთერთი ამოცანა. მხოლოდ იმ პოეტს, რომელიც სისხლხორცეულად დაკავშირებულია საბჭოთა ხალხის ბედიღბალთან, პოეტს რომელსაც შესწევს უნარი გამოხატოს თავისი ხალხის ყველა სანუკვარი მისწრაფებანი, ფიქრები და იმედები, მხოლოდ ლენინ-სტალინის საქმისათვის აქტიურ მებრძოლ პოეტს შეუძლია ჩასთვალოს თავი რუსთაველის ტრადიციების მემკვიდრედ. მთელი ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის პოეზია დიადი რუსთაველის ეს კოლექტიური მემკვიდრეა.

რუსთაველის გმირები არ მომკვდარან. ავთანდილისა და ტარიელის საუცხოო თვისებანი შეისისხლხორცა არა მარტო ქართველმა ხალხმა, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის ყველა სხვა ხალხებმაც.

ტყუილად როდია, რომ მთელი მშრომელი კაცობრიობის გიგანტმა, საქართველოს ნათელი, ლურჯი, ბედნიერი ცის ქვეშ დაბადებულმა, მსოფლიოში ყველაზე ბრძენმა, ყველაზე შეუდრეკელმა, ყველაზე პრინციპულმა ადამიანმა, ადამიანმა, რომელიც მამობრივი სიყვარულითა და მზრუნველობით უვლის მშრომელი ხალხის თვითეულ პატიოსან შვილს და რომელიც ულმობელად ანადგურებს ყველას, ვინც შეეცდება ხელჰყოს მშრომელთა ბედნიერ ცხოვრებას,—ამ ადამიანის სახელია სტალინი! — **(მქუხარე ტაში),** ტყუილად როდია, რომ მან, ყველაზე დიდმა ადამიანმა, რომელიც კი ოდესმე არსებობდა ჩვენს პლანეტაზე, შეისისხლხორცა ლეგენდარული ავთანდილის საუცხოო თვისებანი—სიმამაცე, გმირობა, ვაჟკაცობა, ულმობელობა მტრებთან ბრძოლაში, დაუღალავი მისწრაფება — გადააქციოს ადამიანის ცხოვრება მთლიან ბედნიერებად, მთლიან დღესასწაულად!

იგი უშიშარია ისევე, როგორც ლეგენდარული ავთანდილი, და, მთელს მსოფლიოზე ამაყად აღმართულს, მას ხელთ უპყრია პროლეტარიატის დიქტატურის ბასრი მახვილი, რომელიც თავს დააცხრება ყველას, ვინც კი შეეცდება შეაფერხოს მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ხალხთა ძლევამოსილი სვლა მსოფლიო კომუნისტური ძმობისაკენ. **(მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

საბჭოთა მწერლობა— მებრძოლი მწერლობაა

დ. შენგელაიას სიტყვიდან

ამხანაგებო! სამი წლის წინათ, მწერალთა პირველ სრულიად-საკავშირო ყრილობაზე მტკიცე საძირკველი ჩაეყარა ჩვენი დიდი კავშირის ძმურ ხალხთა მწერლების უაღრესად მჭიდრო კავშირს. ახლა, კვლავ შევიკრიბეთ რა რუსთაველის საიუბილეო პლენუმზე, ჩვენ განსაკუთრებული ძლიერებით ვრწმუნდებით, რომ ეს კავშირი ურღვევია და დღითიდღე უფრო და უფრო მჭიდრო ხდება. ეს ძმური კავშირი მხოლოდ დიად სტალინურ ეპოქაში გახდა შესაძლებელი.

1937 წელი მრავალმხრივ შესანიშნავი წელიწადია. ამ წელს ჩვენ ვიდღესასწაულეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავი და სტალინური კონსტიტუციის, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის დამტკიცების პირველი წლისთავი. 12 დეკემბერს ჩვენ ყველამ, როგორც ერთმა კაცმა, მონაწილეობა მივიღეთ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებში, ერთსულოვნად მივეცით ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს და ამით მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადვყავით სიყვარული და ერთგულება ჩვენი დიადი კომუნისტური პარტიისადმი, ხალხთა დიდი ბელადისადმი, მთელი საბჭოთა ხალხის პირველი დეპუტატისადმი—ამხანაგ სტალინისადმი. ჩვენ ხმა მივეცით საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას, პოლიტიკას **ლენინ-სტალინის** პარტიის ცენტრალური კომიტეტისას, რომელსაც შეთაურობს ჩვენი ეპოქის უგენიალურესი ადამიანი, რომელმაც ჩვენს ხალხებს მისცა ბედნიერი ცხოვრება, რომელსაც ჩვენ გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მივყავართ.

სახელოვანი შინსახკომის დახმარებით, რომლის 20 წლისთავი ჩვენ ეს-ეს არის ვიდღესასწაულეთ, ჩვენ გავანადგურეთ და კვლავ ვანადგურებთ ხალხის სამგზის საზიზღარ მტრებს, ტროცკისტ-ბუხარინელ მახინჯებს, რომლებიც ცდილობდნენ ბითუმად და ნაჭრობით მიეყიდათ კაპიტალისტ-ფაშისტებისათვის ჩვენი სამშობლოს წმინდა მიწა-წყალი.

დიდი მადლობა სახელოვან სტალინურ სახალხო კომისარს ამხ. ეჟოვს, რომელსაც მტკიცედ უპყრავს ხელთ დამსჯელი მახვილი საბჭოთა მართლმსაჯულებისა!

ამავე წელს ჩვენ ზეიმით აღვნიშნეთ ორი დიდი იუბილე. უდიდესი რუსი გენიოსის ა. ს. პუშკინის დაღუპვის წელს დაიბადა ილია ჭავჭავაძე, გამოჩენილი ქართველი პოეტი. ორივე ეს სახელი—პუშკინი და ჭავჭავაძე—ერთმანეთს ეხმაურება. ორივემ შექმნა ლიტერატურა ხალხისათვის და ორივე ლაპარაკობდა ხალხის ენაზე.

დასასრულ, ეს შესანიშნავი 1937 წელი მთავრდება მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში უმაგალითო საყოველთაო სახალხო ზეიმით — შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის 750 წლისთავით. ეს ზეიმი არის არა მარტო ქართველი ხალხის უდიდესი გენიოსის—შოთა რუსთაველის იუბილე, იგი არის ზეიმი მისი დიადი იდეებისა: გმირობისა, მეგობრობისა, სიყვარულისა, რომელთა მაუწყებელიც იყო რუსთაველი შუასაუკუნოებრივი ბარბაროსობის შავბნელ ეპოქაში.

შოთას—ლიტერატურის ამ კაშკაშა მნათობის—იდეები თანხმიერია ჩვენი გმირული სტალინური ეპოქისა. რუსთაველი, ცოცხალი რუსთაველი, კვლავ ჩვენთან არის!

შოთა რუსთაველი მზის შუქი იყო შუასაუკუნოებრიობის წყვდიადში. მაგრამ ამ გენიოსის გამოჩენა როდი იყო შემთხვევითი. ეს მომზადებული იყო ქართველი ხალხის მთელი წინანდელი ისტორიული განვითარებით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მრავალ საუკუნეთა მანძილზე ბატონობდნენ რომაელები, არაბები, სპარსელები, ქართველმა ხალხმა მაინც შექმნა თავისი განუმეორებელი ნიმუშები ლიტერატურული შემოქმედებისა.

რუსთაველის გენიამ ღრმა გავლენა მოახდინა შემდგომ საუკუნეთა ქართველი პოეტებისა და მწერლების შემოქმედებაზე. ამ გავლენამ განსაკუთრებული სიძლიერით იჩინა თავი მე-19 საუკუნეში. ისეთმა დიდმა ქართველმა მწერლებმა, როგორიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ალ. ყაზბეგი, თავის ნაწარმოებებში სავსებით ასახეს როგორც რუსთაველის თემატიკა, ისე მისი ენის სურათოვნობა და ხალხურობა.

მის კეთილმყოფელ გავლენას ვერ ასცდა თანამედროვე საბჭოთა ქართული ლიტერატურაც. ეს მით უფრო გასაგებია, რომ რუსთაველის დიადი იდეები ყველაზე უფრო სრულად ჩვენს სტალინურ ეპოქაში აყვავდნენ. ხალხთა მეგობრობა, სამშობლოს გმირული დაცვა, ქალის თანასწორუფლებიანობა, — ვისთვის, თუ არა საბჭოთა ადამიანებისათვის, არის ეს იდეები განსაკუთრებით მახლობელი?! შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართული პროზა პირდაპირი გაგრძელებაა იმ საწყისებისა, რომლებიც წამოაყენა რუსთაველმა და განავითარა ილია ჭავჭავაძემ. და ღრმად რეაქციური და ჩვენდამი მტრულად განწყობილი არიან ის მწერლები, რომლებიც, გვერდს უვლიან რა რუსთაველსა და ჭავჭავაძეს, ცდილობენ, მათზე გადაბიჯებით, ეძებონ ჩვენი პროზის ფესვები ძველ აგიოგრაფიაში, მის ხუცურ ლეშში. ისინი შეგნებულად ლამობენ გადააცდინონ ჩვენი ლიტერატურა სქემატიზმისა და ფორმალიზმის ყალბი გზისაკენ.

ჩვენს დროში ფაშისტთა გამხეცებული ბანდები, დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც, სპობენ ქალაქთა და სოფელთა მშვიდობიან მოსახლეობას, არ ინდობენ მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს. მტერი ცდილობს ძირი გამოუთხაროს მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოს ძლიერებასა და მშვიდობიან ბედნიერ ცხოვრებას.

ჩვენ, საბჭოთა მწერლებს, რომელთათვისაც კალამი წარმოადგენს შაშხანას დიადი სამშობლოს წმინდათაწმინდა საზღვრების დაცვის საქმეში, მუდამ უნდა გვახსოვდეს საქართველოს ბოლშევიკთა საყვარელი ხელმძღვანელის ამხანაგი ლ. ბერიას სიტყვები, თქმული მის მიერ საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობაზე.

„საბჭოთა მწერალი, უწინარეს ყოვლისა, უნდა იყოს საბჭოთა ხელისუფლების, სოციალისტური სამშობლოს, **ლენინ-სტალინის** პარტიის ერთგული ადამიანი, მას უნდა უყვარდეს საბჭოთა ხალხი, თავისი საბჭოთა სამშობლო, ღრმად სწამდეს მისი ძალა და ძლიერება. იგი უნდა იყოს გულწრფელი და გულმართალი თავის ნაწარმოებებში, იგი უნდა განამტკიცებდეს, აფართოებდეს თავის კავშირურთიერთობას მშრომელთა ფართო ფენებთან".

ჩვენი ამოცანა, ამხანაგებო, უაღრესად ძნელი და პასუხსაგებია. ჩვენს გარშემო არსებული სინამდვილე რთულია, მრავალფეროვანია, გმირული შინაარსით არის აღსავსე, ჩვენ ვსახავთ ახალ ადამიანს, რომელიც წინათ არასოდეს და არსად არ არსებობდა, და არ ყოფილა აღწერილი ლიტერატურაში. ამაშია ჩვენი ბედნიერება და ამაშია ჩვენი სიძნელეები. (ტაში).

ქალთა სახეები „ვეფხის-ტყაოსანში"

ვერა იბნერის სიტყვიდან

მე მსურს ვთქვა რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, რამაც მე, როგორც ქალი, ყველაზე უფრო განმაცვიფრა რუსთაველის გენიალური პოემაში—მისი ქალების სახეების შესახებ.

თუ წინათ, შუასაუკუნეების აღრინდელ პოეზიაში ქალს ხატავდნენ უმოძრაოს, არაადამიანური სილამაზისას, უსიცოცხლოს, ძვირფას ნივთებში ჩაფლულსა და თითქმის ყოველგვარ ინდივიდუალურ მხარეს მოკლებულს, ბიზანტიური ხატების მსგავსად, რუსთაველის ქალები ხატები კი არ არიან, არამედ ქალთა ცოცხალი სახეები, თუ პოემის მთავარი გმირები ჯერ კიდევ ტრადიციულად მეფურნი, მშვენიერნი არიან და მბრძანებლობისა და სილამაზის მწვერვალზე დგანან, მისი დანარჩენი გმირი - ქალები ასეთნი როდი არიან.

ავიღოთ, მაგალითად, მხევალი ქალის ასმათის სახე. ეს არის უბრალო ქალწული შავებით გამოწყობილი. პოემაში რამდენიმე ადგილას არის ნათქვამი „ქალწულს შავები აცვეაო". ის არ ბრწყინავს სილამაზით, მაგრამ მის სულიერ თვისებათა დასახატავად რუსთაველს არ დაუზოგავს ფერები და იგი აღწერა დიდებულად, მდიდრულად, როგორც მეფის ასული. არ შეიძლება ასმათი არ შეგიყვარდეს. იგი ნამდვილი ქალია. ის მიჰყვება გარდახვეწილ ტარიელს, ებრალება იგი, მაგრამ არა იმ უქნარა, მტირალა სიბრალულით, რომელსაც ხშირად მოგვაწერენ ჩვენ, ქალებს. გაიხსენეთ როგორ იქცევა ასმათი გამოქვაბულში. ის აწესრიგებს ტარიელის ყოფაცხოვრებას, მის მეურნეობას, ის უწვავს მას ნადირის ხორცს, უვლის მის ცხენს, უმზადებს ცივ წყალს, როდესაც მას დარდი აქვს შემოწოლილი. იგი ჭკვიანი და გამბედავია. მართალია, იგი ხანდახან სტირის, იტანჯება რა ტარიელთან ერთად, მაგრამ მისი აქტიური ნატურა მალე მაინც იმარჯვებს.

დიდად საოცარი და პარადოქსალურია, მაგრამ ასმათი ჩვენ გვაგონებს მეორე ქალს, ნეკრასოვის რუს ქალს, რომელიც „გაქცეულ ცხენს გააჩერებს, ცეცხლწაკიდებულ ქოხში შევა" (ტაში) და ეს ერთხელ კიდევ გვეუბნება იმას, რომ ხალხურ პოეზიაში სახეები ხშირად ჰგვანან ერთმანეთს მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთმანეთს დაშორებული არიან არა მარტო ზღვებითა და ხმელეთით, არამედ საუკუნეებითაც.

თინათინი განსახიერებული სინაზეა. მისი სახელიც კი ანბანის უაღრესად ნაზი ასოებისაგან არის შედგენილი. რა ადვილად შედის იგი პოემაში და გაივლის მას. იგი ჭკვიანია. მოვიგონოთ, როგორ ანუგეშებს თავის მამას, როდესაც იგი დარდობს ტარიელის დაკარგვის შემდეგ. მაგრამ ეს ნაზი თინათინი, როდესაც იგი უნდა დაშორდეს საყვარელს, რომელიც მიდის მეგობრის დასახმარებლად, არა თუ არ უშლის წასვლას, არამედ უდასტურებს მას ამ გადაწყვეტილებას მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ადვილი როდი იყო საყვარლის განშორება.

ნესტან დარეჯანი უკვე სხვა ტიპია. ეს ვაჟკაცური ქალია. იგი ბატონობის მოყვარულია. მგზნებარე პატრიოტი. იგი არც იმას ერიდება, რომ მოჰკლას საქმრო, რომელიც მას არ სურს. მართალია, იგი აქვე სთხოვს დაზოგონ მისი დარაჯები. აქ იჩინა თავი მისმა ქალობამ.

რაც შეეხება ფატმანს, ეს ნახევრადდადებითი ტიპის ქალია.

აი ფრიად მოკლე დახასიათება რუსთაველის პოემის ქალთა დადებით და ნახევრადდადებით სახეებისა.

მე წამიკითხავს იმის შესახებ, რომ საქართველოში არსებობდა ჩვეულება მზითევში გაეტანებინათ ქალისათვის რუსთაველის წიგნი. ეს მშვენიერი ჩვეულებაა და მის შესახებ მე დავსწერე ლექსი (ხანგრძლივი ტაში).

დიდი ზეიმი

აკადემიკოს ი. ი. მეშჩანინოვის სიტყვიდან

ის კულტურული ღირებულებანი, რომლებსაც ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე მხოლოდ თითო-ოროლა რჩეული ჰფლობდა, ახლა გახდნენ სოციალიზმის ქვეყნის მშრომელთა უფართოესი მასების კუთვნილებად.

რუსთაველის სახელი და მისი უკვდავი პოემა კარგად არის ცნობილი მსოფლიო ლიტერატურაში, მაგრამ მხოლოდ საბჭოთა სინამდვილე აყენებს ამ გენიალურ პოეტს მის მიერ დამსახურებულ ადგილზე. მხოლოდ დიდი ოქტომბრის შემდეგ ხდება რუსთაველის პოემა სსრ კავშირის ყველა განთავისუფლებული ხალხის კუთვნილებად. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მიერ შექმნილი კულტურული ცხოვრების პირობებში აღმოჩნდა შესაძლებელი ეს ზეიმი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ჩვენი თვალუწვდენელი სოციალისტური სამშობლოს ყველა მრავალრიცხოვან ხალხთა წარმომადგენლები, საბჭოთა კავშირის ხალხთა ფორმით ნაციონალურ, შინაარსით სოციალისტურ კულტურათა წარმომადგენლები.

დღეს ჩვენ გვაერთიანებს უდიდესი ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი, „ოქროს ხანის" თანამედროვე, შემოქმედი გენიალური პოემისა, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო და ჩვენამდე მოაღწია, პოემისა, რომელიც გახდა ქართველი ხალხისა და სსრ კავშირის ყველა ხალხთა კუთვნილება.

ზეიმი, რომელმაც შეჰკრიბა ჩვენ ყველანი საქართველოს დედაქალაქში —თბილისში, წარმოადგენს მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიულ ზეიმს, შემდგომი მძლავრი კულტურული წინსვლის სტიმულს.

პოემა „ვეფხის ტყაოსანი" გენიალურია არა მარტო თავისი ეპოქისათვის, იგი ეკუთვნის იმ თითოოროლა მსოფლიო ნაწარმოებთა რიცხვს, რომელნიც თავის უდიდეს მნიშვნელობას ინარჩუნებენ ყველა ხანაში და ყველა ხალხისათვის.

რუსთაველი იზრდებოდა ქართული საშუალო საუკუნოებრიობის ბრწყინვალე აყვავების, თავისი დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის განსაკუთრებულ ეპოქაში, რუსთაველმა თავისი პოემა ქართულ ენაზე დაწერა, მაგრამ ამავე დროს შექმნა ჭეშმარიტად კოსმოპოლიტურ — მსოფლიო ნაწარმოები. მან დაგვიტოვა დიდებული ნაწარმოები, რომელიც მისაწვდომია არა მარტო რჩეულთათვის, არამედ ხალხის უფართოესი მასებისათვისაც,—ენითაც, სტილითაც თავისი სიუჟეტითაც. მისი კალმისგან მსოფლიო პოემა მივიღეთ. მთელ რიგ საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ხალხი მას თავის მშობლიურ ნაწარმოებად სთვლის, ხოლო რუსთაველის სახელს პატივს სცემს, როგორც თავისი მშობლიური პოეტის დიად სახელს.

სკანდინავიის მწერალ სალდორ ლაქსნესის სიტყვიდან

(ისლანდია)

მე 14 დღე უნდა მემგზავრნა, რომ ისლანდიიდან საბჭოთა საქართველოს მშვენიერ დედაქალაქ თბილისში მოვხვედრილიყავი. ჩემთვის, სკანდინაველი მწერლისათვის, ისე როგორც სხვა ქვეყნების მწერლებისათვის, დიდი პატივია გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დიადი პოემის 750 წლისთავის ამ განსაკუთრებულ ზეიმზე დასწრება.

თუმცა მე ქართული ენა არ ვიცი და უკვდავ პოემას „ვეფხის ტყაოსანს" ფრანგულ ენაზე ვკითხულობდი და ვსწავლობდი, მაგრამ მაინც გავიგე და ვიგრძენი მასში არა მარტო ეპოქის მომხიბვლელი გმირობა, არამედ აგრეთვე მარადიულ ღირებულებათა, ხალხური სიბრძნის, ერთგულების, მეგობრობის, საუცხოო სიყვარულის შესანიშნავი გამარჯვება. ამიტომ არის რუსთაველის პოემა ახლობელი სხვადასხვა ეპოქის ხალხებისათვის, ახლობელი ჩვენთვის.

მე ბედნიერი ვარ, რომ შევძლებ ამ შორეულ სამშობლოში ვილაპარაკო გენიალურ პოეტსა და შესანიშნავ იუბილეზე, როგორც ნამდვილი კულტურის დღესასწაულზე, ქართველი ხალხის კულტურული რენესანსის დღესასწაულზე, კომუნისტური პარტიის ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებაზე, პოლიტიკის, რომელმაც გაიმარჯვა ქართველი ხალხის დიადი შვილის, საბჭოთა ქვეყნის დიადი შვილის—ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

როგორც მსოფლიოში ყველაზე უფრო პატარა ეროვნების წარმომადგენელს, მე განსაკუთრებით კარგად მესმის, რას ნიშნავს თავისი ნაციონალური ენის, ლიტერატურის, კულტურის უფლება, თავისი ეროვნების შენარჩუნების უფლება, რას ნიშნავს ნამდვილი თვითგამორკვევის უფლება.

მე მინდა აღვნიშნო ქართველი ხალხის კულტურასთან ჩვენი ქვეყნის ხალხის კულტურის შეხების ერთი ისტორიულად მნიშვნელოვანი წერტილი. ჩვენი ქვეყნის კულტურის „ოქროს ხანა" ემთხვევა ქართული კულტურის გაფურჩქვნას. სწორედ იმ დროს, როდესაც შოთა რუსთაველი ჰქმნიდა თავის უკვდავ პოემას, ჩვენი ისლანდიელი სკალდები ჰქმნიდნენ თავის საგებსა და ედებს, რომლებიც დღეს ინახება როგორც ჩრდილოეთის შესანიშნავი კულტურული მემკვიდრეობა.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებამ საშუალება მოგცათ თქვენ გაგეხადათ რუსთაველის პოემა არა მარტო ქართული კულტურის ცოცხალ ფაქტორად, არამედ აგრეთვე რუსთაველის იუბილე გადააქცია მთელი კავშირის კულტურის დღესასწაულად, რაც „ვეფხის ტყაოსანს" სსრ კავშირის ყველა ხალხის კუთვნილებად ხდის. ამავე გამარჯვებამ შესაძლებლობა მომცა მეც, შორეული ქვეყნის მწერალს, დავსწრებოდი თქვენს ზეიმს, რომელიც მსოფლიო კულტურის ნამდვილ ზეიმს წარმოადგენს. მე მწამს, რომ ლენინ-სტალინის იგივე ნაციონალური პოლიტიკა შესაძლებელს გახდის იმასაც, რომ ჩვენი ხალხის კულტურის დიდ თარიღებს ჩვენ საქართველოს ხალხთან, სსრ კავშირის ხალხთან ერთად ვიდღესასწაულებთ.

სალამი ბედნიერი და თავისუფალი სოციალისტური საქართველოს ხალხს. დაე, მსოფლიო კულტურის ეს შესანიშნავი დღესასწაული ახალ ლახვრად გადაიქცეს კულტურის ჩამხრჩობლებისათვის — საერთაშორისო ფაშიზმისათვის.

მივესალმები ქართველ ხალხს მისი სახელოვანი წარსულით და მისი ძლევამოსილი აწმყოთი.

გაუმარჯოს ქართველი ხალხის დიად შვილს — საბჭოების ქვეყნის დიად მშენებელს ამხანაგ სტალინს!

რუსთაველის საიუბილეო გამოფენაზე სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): გამოფენის ერთერთი ორგანიზატორი ამხ. ინგოროყვა და მწერლები ამხ. ასეევი და ამხ. პავლენკო.

ფოტო „სოიუზფოტო".

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მე-9 ყრილობა

პარიჟი, 29 დეკემბერი (საკდესი). გუშინ სალამოს საფრანგეთის მე-9 ყრილობის სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა რენო ჟანი. რენო ჟანის მოხსენება მიძღვნილი იყო პარტიის ამოცანებისადმი გლეხთა საკითხში. რენო ჟანმა მოიგონა მოთხოვნები გლეხთა შესახებ, რომლებსაც შეიცავს სახალხო ფრონტის პროგრამა: სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების გადიდება, სპეკულაციასთან ბრძოლა, დახმარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის, მინერალური სასუქთა ხელმისაწვდენ ფასად გაყიდვა სახელმწიფო კანტორების მიერ, სუპერფოსფატებისა და სხვა სასუქთა ვაჭრობის კონტროლი, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის განვითარება, დავალიანების მოგვარება და სხვ. რენო ჟანმა აღნიშნა თავის მოხსენებაში ის ღონისძიებანი, რომლებიც განახორციელეს ბლიუმისა და შოტანის მთავრობებმა: მიღება კანონისა დავალიანების გასტუმრების ვადის გადიდების შესახებ, აგრეთვე კანონისა იურიდიულ სარჩელთა გაუქმების შესახებ. მოკლევადიანი ფულადი სესხების მიცემა გლეხებისათვის და მარცვლეულის სახელმწიფო ბიუროს შექმნა. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ ეს რეფორმები სრულიად არ არის საკმარისი და რომ ისინი ნელა და გაუბედავად ტარდებოდა (ცხოვრებაში. მომხსენებელი შემდეგ შეჩერდა გლეხების მიერ წამოყენებულ მოთხოვნებზე: კოლექტიური ხელშეკრულებები შრომის დარგში, კოლექტიური შეთანხმებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვის შესახებ, რაც ნებას მისცემს მწარმოებელთ დაიცვან თავიანთი ინტერესები ტრესტების მფლობელთა და სპეკულანტების წინააღმდეგ, მოჯამაგირეთა სამუშაო დროის შემცირება, სოციალური დახმარების გაცემა, ურთიერთდამხმარე სალაროების შექმნა სტიქიურ უბედურებათა შემთხვევისათვის, კრედიტების გაფართოება ახალგაზრდა გლეხურ მეურნეობათათვის.

რენო ჟანმა ხაზი გაუსვა, რომ გლეხობა, რომელიც საფრანგეთის მოსახლეობის 35-დან 40 პროცენტამდე შეადგენს, უაღრესად მძიმე პირობებში ცხოვრობს. დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გლეხობა თავდადებულია რესპუბლიკისა და დემოკრატიისათვის და რომ მისი მდგომარეობის გაუმჯობესება სახალხო ფრონტის პროგრამის სავსებით განხორციელებას მოითხოვს.

პარიჟი, 29 დეკემბერი (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ყრილობის დღევანდელი დილის სხდომა დაეთმო ქიტონის მოხსენებას საორგანიზაციო საკითხებზე. მომხსენებელი შეჩერდა კერძოდ პარტიის გავლენის ზრდაზე მასებში, პარტიის კადრებისა და მისი რიცხობრივი შემადგენლობის ზრდა. ზე. დასასრულ ქიტონმა ხაზი გაუსვა, აუცილებელია ვეცადოთ საფრანგეთში პროლეტარიატის ერთიანი რევოლუციური პარტიის შექმნისათვის.

„განვაგრძოთ ჩვენი წინსვლა, განაცხადა ქიტონმა. მივცეთ მუშათა კლასს ერთიანი პარტია, რომელიც იქნება გამარჯვების პარტია“. ქიტონის ამ განცხადებამ მქუხარე ოვაციები გამოიწვია.

დღის სხდომაზე დღეს ყრილობა აირჩევს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს და მოისმენს მორის ტორეზის საბოლოო სიტყვას.

დღეს საღამოს მორის ტორეზი გამოვა სიტყვით, რომელსაც რადიოთი გადასცემენ.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის ცნობით)

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

28 დეკემბერი, რესპუბლიკელთა ჯარებმა ბრძოლით დაიკავეს სემინარიის შენობა ტერუელში, სადაც ჩასაფრებული იყო ერთი მუჭა მეამბოხეები. სამოქალაქო გუბერნატორის შენობაში ჩასაფრებულ მეამბოხეთა წინააღმდეგობა მნიშვნელოვნად შესუსტდა.

მეამბოხეებმა იერიში მიიტანეს რესპუბლიკელებზე ტერუელის ჩრდილოეთით, მაგრამ ისინი მოიგერიეს. რესპუბლიკელებმა ამ ოპერაციის დროს ხელთ იგდეს მოწინააღმდეგეთა სასაპალნე ტრანსპორტი და წაიწიეს წინ უნივერსალესის მთის მიმართულებით.

რესპუბლიკელთა ჯარებმა დაიკავეს მთელი რიგი სიმაღლეები ერმიტა დე მაგატონის რაიონში, ლესინიენიდან 2 კილომეტრის მანძილზე.

ცენტრალური ფრონტი

27 დეკემბერს მეამბოხეებმა ორი იერიში მიიტანეს მდინარე მანსარესის სამხრეთით, მაგრამ ისინი მოიგერიეს.

სამხრეთის ფრონტი

რესპუბლიკელთა ჯარებმა დაიკავეს ორი მნიშვნელოვანი პოზიცია, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ბატონობას მთელ ახლომახლო რაიონებზე. რესპუბლიკელთა პოზიციები გამაგრებულია და იმყოფება ალკაუდეტედან ალკალა ლა რეალში მიმავალი გზის 22 და 23 კილომეტრებს შუა.

ესპანეთის რესპუბლიკას ჰყავს გმირული არმია

პარიჟი, 28 დეკემბერი (საკდესი). ანდრე მარტიმ, რომელმაც ინახულა აღმოსავლეთის ფრონტის ტერუელის უბანი და ესკორიალას რაიონში რესპუბლიკელთა ნაწილების განლაგების პუნქტები, პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ტერუელის აღებას არა მარტო სამხედრო მნიშვნელობა აქვს, არამედ ამასთან ერთად იგი გვიჩვენებს, რომ ესპანეთის რესპუბლიკას ჰყავს ისეთი არმია, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო არმიებთან შედარებას გაუძლებს. რესპუბლიკელთა ჯარების გამარჯვება ტერუელთან, — განაცხადა მარტიმ, — არის აგრეთვე შედეგი რესპუბლიკელთა არმიის ბრწყინვალე პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობისა; ამ არმიის მეომრებმა იციან, რომ ისინი ახალი ტიპის დემოკრატიისათვის იბრძვიან.

მარტიმ აღნიშნა, რომ საფრანგეთის მუშებს შეუძლიათ აიღონ მაგალითი ესპანეთის მშრომელებისაგან, და განაცხადა, რომ გამარჯვება ტერუელთან შესაძლებელი გახდა მხოლოდ ყველა ანტიფაშისტური ძალების ერთიანობის წყალობით. ეს ერთიანობა შეიძლება განხორციელებულ იქნას საფრანგეთშიც.

ესპანეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა

ბარსელონა, 29 დეკემბერი (საკდესი). გუშინ საღამოს შესდგა მინისტრთა საბჭოს სხდომა. სხდომის დამთავრების შემდეგ განათლების სახალხო მინისტრმა ერნანდესმა განაცხადა, რომ სხდომაზე განიხილეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხები. ნაციონალური თავდაცვის მინისტრმა გააკეთა მოხსენება ფრონტის მდგომარეობისა და მეამბოხეთა უკანასკნელი წინააღმდეგობის გაწევის ცდების შესახებ ტერუელში. მინისტრმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკელების მიერ სემინარიის შენობის აღების შემდეგ, ქალაქში თითქმის აღარ დარჩენილა წინააღმდეგობის გამწევი კერები.

მინისტრთა საბჭომ ახალი გუბერნატორები დანიშნა შემდეგ პროვინციებში: ვალენსია, კასტელიონი, კუენკა და ბადახოსი.

გზათა მინისტრის წინადადებით დამტკიცებულ იქნა პრემია რკინიგზელებისათვის.

სჯობს ნაცდურისა მიცემა, აღდგენა მეტად ძნელია...

თბილკვებვაჭრობის ყოფილი ხელმძღვანელები, — ხალხის უსაზიზღრესი მტრები — ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ უკმაყოფილება შეექმნათ თბილკვებვაჭრობის სისტემის მუშა-მოსამსახურეთა შორის.

1936 წელს სამუშაოდან მოხსნეს ნ. დოლიძე, ნ. ჩაჩავა, ხ. სამხარაძე და სხვ. სულ 15 კაცი. ვითომ შტატის შემცირების და სხვა უსაფუძვლო საბაბით. უკანონოდ მოხსნილთა საქმე გაარჩია კიროვის რაიონის სახალხო სასამართლომ 1936-37 წლებში. სასამართლომ დაადგინა, რომ ნ. დოლიძე, ხ. სამხარაძე და ნ. ჩაჩავა აღედგინათ თავიანთ უფლებებში განაცდური თვეების ხელფასის ანაზღაურებით.

თბილმრეწვვაჭრობამ, რომელსაც კვებვაჭრობა გადაეცა, რაიონის სახალხო სასამართლოს დადგენილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა, ამ უკანასკნელმა დადგენილება დაადასტურა. თბილმრეწვვაჭრობის ყოფილმა ხელმძღვანელებმა მაინც არ მოისვენეს, ახლა რესპუბლიკის პროკურორს მიმართეს, მაგრამ ვერც იქიდან მიიღეს თავისთვის ხელსაყრელი პასუხი და არჩიეს სახალხო სასამართლოს დადგენილების შესრულების გაჭიანურება.

ბოლოს საქმეში საკავშირო პროკურატურა ჩაერია, მაგრამ უკანასკნელის განკარგულებაც უშედეგოდ დასტოვეს.

თბილმრეწვვაჭრობის ყოფილ ხელმძღვანელთა მავნებლურ მუშაობას ფარდა აეხადა, მათ მიმართ მიღებულია შესაფერი ზომები, მაგრამ უკანონოდ მოხსნილი მუშაკების აღდგენას არაფერი ეშველა.

თბილმრეწვვაჭრობის დირექტორად დაინიშნა ამხ. გ. აბესაძე, რომელსაც სახვაჭრობის პროფკავშირის ცენტრალურმა გამგეობამ სასამართლოს დადგენილების საფუძველზე მოსთხოვა უმიზეზოდ მოხსნილი სამხარაძის, დოლიძის, ჩაჩავას და სხვების აღდგენა და გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება.

აბესაძე ასეთ პასუხს იძლევა: „თქვენი ა.-წ. 1-ლი ნოემბრის № 170 მომართვაზე გაცნობებთ, რომ ნიკოლოზ დოლიძისა და ხარიტონ სამხარაძის აღდგენისა და მათზე კუთვნილი ხელფასის გაცემის შესახებ სასამართლოს დადგენილება გასაჩივრებულ იქნა ჩვენს მიერ საქართველოს რესპუბლიკის პროკურორთან ზედამხედველობის წესით. ამჟამად კი ჩემს მიერ გაცემულია განკარგულება, რათა აღნიშნული პირები დაშვებულ იქნან სამუშაოზე“.

სასამართლოს დადგენილების თანახმად ნ. ჩაჩავა აღდგენილი უნდა ყოფილიყო თავის თანამდებობაზე— უფროს ინსპექტორად, აბესაძე კი მას ნიშნავს მაღაზიის გამგედ.

გავიდა დრო, მაგრამ ბოლო არ მოელო საქმის გაჭიანურებას და მიწერ-მოწერას. ბოლოს აბესაძემ ამჯობინა მათთვის ივლისამდე გაცდენილი დროის ხელფასი მიეცა. ხოლო თავისივე განკარგულება მათი აღდგენის შესახებ შეუსრულებელი დასტოვა.

სამხარაძე იძულებული გახდეს დაეწერა განცხადება მისთვის ანგარიშის საბოლოოდ გასწორების შესახებ. დირექტორი აბესაძე არ ასრულებს სასამართლოს დადგენილებას, მან არ აღადგინა მაღაზია № 10-ის ყოფილი დირექტორი დოლიძე თავის უფლებებში.

თბილმრეწვვაჭრობის მესვეურების — აბესაძისა და სხვათა დაუდევრობით სამუშაოდან უკანონოდ მოხსნილ პირებზე დღემდე გაცემულია დაახლოვებით 30.000 მანეთი. რა არის ეს, თუ არა სახელმწიფო თანხების განიავება?

საკვირველია, რატომ არ ღებულობს რესპუბლიკის პროკურატურა გადამჭრელ ზომებს ამ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ.

ხ. ნათელაშვილი

საომარი მოქმედება ჩინეთში

ცენტრალურ ფრონტზე

ხანკოუ, 28 დეკემბერი (საკდესი). იანძის ჩრდილო ნაპირის რაიონის ფრონტზე 27 დეკემბერს არავითარი ცვლილება არ მომხდარა. იაპონელებმა ექვსი ყუმბარა გადმოყარეს ქალაქ სიუიჯოუს აღმოსავლეთ ვაგზალზე. დაინგრა 20-ზე მეტი სახლი.

ცნობები ხანჯოუს რაიონის მდგომარეობის შესახებ არ არის.

ხანკოუ, 28 დეკემბერი (საკდესი). გუშინ იაპონელთა ხუთმა თვითმფრინავმა ათი ყუმბარა გადმოყარა ქალაქ ანცინის მიდამოებში (ანხუეის პროვინცია). იაპონელებმა 16 ყუმბარა გადმოყარეს ძინხუაში ჯეძიანის პროვინციაში. დაინგრა 120 სახლი.

ჩრდილო ჩინეთში

ხანკოუ, 28 დეკემბერი (საკდესი). უსაის რაიონში შანსის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ძლიერი ბრძოლებია. იაპონელთა თვითმფრინავები ყუმბარებს უშენენ დასახლებულ პუნქტებს.

ჩისიანის პუნქტი სამი დღის განმავლობაში სამჯერ გადავიდა ხელიდან ხელში. 21 დეკემბერს, როდესაც იაპონელთა ჯარები პირველად გამოაძევეს ჩისიანიდან მათ მთელი ქალაქი გადასწვეს.

ჯენდინ-ტაიუანის რკინიგზაზე მიმოსვლის აღდგენის შემდეგ დაიწყო იაპონელი ჯარების გაგზავნა ტაიუანში (შანსის პროვინცია).

სამხრეთ ჩინეთში

ლონდონი, 28 დეკემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო მაკაოდან იუწყება, რომ 28 დეკემბერს იაპონელებმა მძიმე არტილერიით ყუმბარები დაუშინეს პუნქტს, რომელიც მდებარეობს დაახლოებით 16 კილომეტრზე მაკაოს სამხრეთ-დასავლეთით. იაპონელი მეზღვაურები გადასხდნენ ამ რაიონის ერთ-ერთ კუნძულზე. კრეისერს გარდა ოპერაციებში მონაწილეობა მიიღო იაპონელთა ორმა ნაღმოსანმა და ტრანსპორტმა.

იაპონელთა ცნობები

ტოკიო, 29 დეკემბერი (საკდესი). დომეი ცუსინის ცნობით, იაპონელთა ჯარებმა ცენტრალურ ფრონტზე 22 დეკემბერს დაიკავეს ტიანჩანი 50 კილომეტრის მანძილზე იანჯოუს (ანხუეის პროვინცია) ჩრდილო-დასავლეთით. იაპონელთა ჯარებმა 29 დეკემბერს დაიკავეს ლიუნშანი 20 კილომეტრის მანძილზე ძინანის აღმოსავლეთით (შანდუნის პროვინცია).

თამბაქოს დამზადებაში ისევ ჩამორჩენა

„თამბაქონედლეულის“ 25 დეკემბრის ცნობებით, საქართველოში თამბაქოს დამზადების დეკემბრის გეგმა შესრულებულია 81,3 პროცენტით, კვარტალური კი— 90,6-ით. თუ ავიღებთ ცალკეულ რაიონებს, ყვარელში უკვე გადააჭარბეს დეკემბრის და კვარტალურ გეგმასაც, ხოლო გურჯაანში, — კვარტალურს.

მიუხედავად იმისა, რომ გეგმის შესრულებაში უკანასკნელად ერთგვარი გარდატეხა მოხდა, მეთამბაქოობის მთელ რიგ რაიონებში მეტად დიდი ჩამორჩენაა. აჭარაში დეკემბრის გეგმა 25-სათვის მხოლოდ 50,3 პროცენტით იყო შესრულებული, — ნაცვლად 150 ტონისა დაამზადეს 75,5 ტონა ნედლეული. ასეთივე ჩამორჩენაა გურჯაანში — 35 ტონიდან პუნქტს მხოლოდ 22,9 ტონა თამბაქო მიუტანეს (დეკემბრის გეგმის 65,4 პროცენტი), ხოლო ლუქსემბურგში 80 ტონიდან ჩაბარებული იყო მხოლოდ 52,3 ტონა (თვიური გეგმის 65,4 პროც.)

თამბაქოს დამზადებაში არსებული ჩამორჩენა განსაკუთრებით დიდია საღნაღის რაიონში. აქ, როგორც ვიცით, ნახევრადაც არ შეუსრულებიათ ოქტომბრისა და ნოემბრის გეგმები, ხოლო დეკემბრის 26-სათვის თვიური დავალების შესრულება აღწევდა 76,8 პროცენტს, კვარტალური კი 63,9 პროცენტს (ჩაუბარებელია 185 ტონამდე თამბაქო). მსგავსი მდგომარეობაა ჩხოროწყუს რაიონშიაც, სადაც პუნქტისათვის არ მიუტანიათ 10 ტონამდე თამბაქო.

დეკემბრის 26-სათვის მეთამბაქოობის რაიონებს თვიური გეგმა უნდა შეესრულებინათ არანაკლებ 80-85 პროცენტისა, ხოლო კვარტალური — კიდევ მეტი პროცენტით. მიუხედავად ამისა, ლაგოდეხის რაიონში დეკემბრის გეგმა შესრულებული იყო 77,4 პროცენტით, კვარტალური, — 81,3-ით. ჩოხატაურის რაიონშიაც დეკემბრის ვალდებულება 70,6 პროცენტზე მეტად არ არის განაღდებული.

თამბაქოს ნედლეულის დამზადებაში არსებულ სამარცხვინო ჩამორჩენას, უპასუხისმგებლობას განსაკუთრებით ცხადჰყოფს ის ფაქტი, რომ 20-25 დეკემბრის განმავლობაში აჭარაში სახელმწიფოსათვის თამბაქო თითქმის სრულებით არ ჩაუბარებიათ. აქ განსაკუთრებით ჩამორჩენილია ხულოს რაიონი. დეკემბრის 15-სათვის მას 63 ტონიდან სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ჰქონდა მხოლოდ 6 ტონა ნედლეული, მაგრამ გადამჭრელი ზომები არავის მიუღია. დამტკიცებული შტატის მიხედვით ხულოს რაიმიწგანი ვალდებული იყო მეთამბაქოე დაენიშნა, მაგრამ აქ არც ეს შეუსრულებიათ. აღსანიშნავია, რომ ქედის მეთამბაქოე აგრონომი თითქმის ორი თვე შვებულებაშია, ხოლო მის ადგილზე შესაფერი მუშაკი მიწგანს არ გამოუყვია.

თამბაქოს დამზადებაში განსაკუთრებით სუსტად მუშაობენ როგორც აჭართამბაქონედლეული, ისე მიწსახკომი. აჭარის მიწსახკომს დროულად არ მიუღია გადამჭრელი ზომები, რომ ადგილები უზრუნველეყო თამბაქოს დამზადებისათვის საჭირო კადრებით. მიწსახკომის მეთამბაქოე აგრონომი მხოლოდ ორიოდე კვირაა, რაც შვებულებიდან დაბრუნდა. ყოველივე ამის შედეგად ბათუმის, ქედისა და ხულოს რაიონებში (განსაკუთრებით უკანასკნელში), გარდა იმისა, რომ პუნქტებზე ნედლეული ცოტა მოაქვთ, დაბალი და სხვა ხარისხების თამბაქო ხშირად ერთმახეთშია არეული, ნედლეულის გადარჩევას საჭირო ყურადღება არ ექცევა, გეგმა არ სრულდება.

ავიღოთ საქართველოს მეთამბაქოობის ერთერთი რაიონი — ლუქსემბურგი. აქ ოქტომბრის გეგმა ჩაიშალა (შეასრულეს მხოლოდ 51 პროცენტით), დეკემბრისა კი 25 დღეში მხოლოდ 65,4 პროცენტით შესრულდა. მიუხედავად იმისა, რომ თამბაქო კოლმეურნეობებში თითქმის ყველგანაა, ხელმძღვანელთა უყურადღებობის გამო ნედლეული დაუხარისხებელია და პუნქტებისათვის ჩაბარება გვიანდება.

ლუქსემბურგის რაიონის კოლმეურნეობებში თამბაქოს დამზადებაზე მიწგანისა და მტს-ის მუშაკებს იშვიათად ნახავთ. დამახასიათებელია, რომ მტს-ს დეკემბრის 15-მდე ადგილებამდე თვიური გეგმები თითქმის არც კი დაუშვია.

ლუქსემბურგის რაიონში თამბაქოს დამზადებაში არსებულ ჩამორჩენას ხელს უწყობს დამზადების რაიონული კომიტეტის სუსტი მუშაობაც, რომელიც ადგილებს საჭირო მითითებებსა და დახმარებებს იშვიათად უწევს.



შ. რუსთაველის პორტრეტი ფაიფურის თეფშზე. სურათი შესრულებულია მხატვარ პროხოროვის მიერ გაზ. „პრავდას“ სახელობის დულევის ფაიფურის ქარხანაში.

ასეთი თეფშები მიიღო თბილისში ფაიფურის № 1 მაღაზიამ (ლენინის ქ. № 31)

ფოტო რ. აკოფოვისა

ნაძვის ხე ქარხანაში

ორჯონიკიძის სახ. ქარხნის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები სიხარულით ხვდებიან ახალ წელს. 31 დეკემბერს ქარხნის კოლექტივი მოისმენს მოხსენებას 1937 წლის გეგმების შესრულების შესახებ.

1-ლ იანვარს ქარხნის კლუბში გაიმართება ნაძვის ხე, რომლის მოსაწყობად დაიხარჯება 1500 მანეთი. ნაძვის ხეზე მოწვეულია ქარხნის მუშათა ბავშვები თავიანთი დედებით. 200 ბავშვს, რომლებიც ნაძვის ხეს დაესწრება, დაურიგდება საჩუქრები, კლუბში გაიმართება სათამაშოები, დაუკრავს ორკესტრი.

(საქდესი).

„საქფილეგთში“

საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ბრძანებით საგუნდო გაერთიანებები: აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდი ხელ. დამს. მოღვაწის სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით, დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდი კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით, ხელ. დამს. მოღვაწის მარო თარხნიშვილის გუნდი, სახელმწიფო კაპელა ხელ. დამს. მოღვაწის შ. კუხიანიძის ხელმძღვანელობით, ა. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით არსებული მეჩონგურეთა ანსამბლი და სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი გადაცემულია „საქფილეგთის“ განკარგულებაში.

კონცერტები და მხატვრული საღამოები გაიმართება მუდმივად, როგორც ზამთრის სეზონში, ისე ზაფხულობით. იმ დროს, როდესაც ადგილობრივი გუნდები და ანსამბლები საგასტროლოდ იქნებიან მივლინებული, „საქფილეგთში“ იმუშავებენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ-ოსეთის და მოძმე რესპუბლიკებიდან მოწვეული გუნდები და შემსრულებელნი.

დიდი ყურადღება მიექცევა „საქფილეგთის“ სტუდიის მუშაობას, რომელშიაც იზრდებიან ახალი საესტრადო კადრები.

ფართო ადგილი დაეთმობა აგრეთვე საბავშვო ესტრადას, რომელსაც ექნება სპეციალური პროგრამა — რეპერტუარი. „საქფილეგთის“ განკარგულებაშია მ. კუხიანიძის ხელმძღვანელობით არსებული საბავშვო კაპელა, რომელშიაც შედის 150 ბავშვი, და საბავშვო სიმფონიური ორკესტრი, რომელსაც უხელმძღვანელებს დირიჟორი რაბინოვიჩი.

„საქფილეგთის“ სამხატვრო ნაწილის გამგედ და მთავარ რეჟისორად მოწვეულია ხელ. დამს. მოღვაწე კ. პატარიძე, მუსიკალური ნაწილის გამგედ კომპოზიტორი ვ. გოკიელი, სალიტერატურო ნაწილის გამგედ ნ. ჩაჩავა.

„საქფილეგთის“ დირექტორად დანიშნულია პ. კანდელაკი.

სეზონი 1 იანვარს გაიხსნება.

ტრავმა და მასთან ბრძოლა

არცერთ ქვეყანაში ისეთი დიდი ყურადღება არა აქვს მიქცეული ტრავმასთან, წარმოებაში დაშავების შესაძლებელ მიზეზებთან ბრძოლას, როგორც საბჭოთა კავშირში. დიდ სამრეწველო ცენტრებში დაარსებულია სპეციალური ტრავმატოლოგიური ინსტიტუტები. ასეთი ინსტიტუტი არსებობს თბილისშიაც.

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა გადაწყვიტა მომავალ წელს თბილისში აავოს სპეციალური შენობა ტრავმატოლოგიური ინსტიტუტისთვის. ინსტიტუტში მოაწყობენ 50 საწოლს, ლაბორატორიებს და კაბინეტებს ტრავმატიზმთან ბრძოლის საკითხების შესასწავლად.

კიბოს მკურნალობა

რუსეთის ჯანსახკომის ცენტრალური ონკოლოგიური ინსტიტუტი (მოსკოვი), რომლის ამოცანასაც შეადგენს ავთვისებიან სიმსივნეთა შესწავლა, ახლო მომავალში იწვევს სამეცნიერო სესიას, რომელიც მიძღვნილია კიბოს გამოცნობისა და მკურნალობის ახალი მეთოდისადმი. სესიაზე მოსმენილი იქნება 40-მდე მოხსენება, რომელთა უმეტესობა დიდ მეცნიერულ ინტერესს შეიცავს.

მიუხედავად კუჭის კიბოს გავრცელებისა, ამ ავადმყოფობის წარმოშობის და მკურნალობის ძირითადი საკითხები ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია. ამ დარგში მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს ონკოლოგიური ინსტიტუტის მუშაობა. მისი მეოხებით შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს, რომ მრავალ შემთხვევაში, როდესაც კუჭის კიბოთი სნეულდებიან 40 წლის ასაკს გადაცილებული ადამიანები, კიბოს წინ უსწრებს გასტრიტი, კუჭის წყლული და განსაკუთრებით პოლიპოზი (კუჭის ლორწოვანი ქსოვილების ანთებითი გაფართოება). დამტკიცებულია აგრეთვე, რომ ამ სნეულებებსა და კუჭის კიბოს შორის პირდაპირი კავშირი არსებობს.

როგორც ცნობილია, კიბოსაგან სიკვდილიანობის შედარებით დიდი პროცენტი აიხსნება იმით, რომ ეს ავადმყოფობა თავის ადრინდელ სტადიაში ძალიან ძნელი გამოსაცნობია. მრავალი ცდა იყო კიბოს გამოცნობისა სისხლის, შარდის და სხვათა გამოკვლევის გზით, მაგრამ დღემდე ცნობილმა არცერთმა მეთოდმა არ მოგვცა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი შედეგი. ასე, მაგალითად, გამორკვეულია, რომ სისხლის გამოკვლევა ქლორის საშუალებით, რაც ფართოდ გავრცელდა რამდენიმე წლის წინათ, იმდენ შეცდომებს იძლევა, რომ ეს მეთოდი სრულიად გამოუსადეგარი გახდა. ონკოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლები სხვა გზით წავიდნენ; ისინი იყენებენ კომპლექსურ გამოკვლევას, რაც სწორი დიაგნოზის თითქმის სრულ გარანტიას იძლევა. ამაში ინსტიტუტი დარწმუნდა 1500 კომპლექსური გამოკვლევის ჩატარების მაგალითზე. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ასი შემთხვევიდან კომპლექსური გამოკვლევა 90 შემთხვევაში საშუალებას იძლევა სწორად გამოვიცნოთ კიბო.

სესია მოისმენს მთელ რიგ მოხსენებებს ავთვისებიან სიმსივნეთა რენტგენითა და რადიუმით მკურნალობის შესახებ. კერძოდ, სესიაზე გამოქვეყნდება შაულის აპარატით კიბოს მკურნალობის შედეგები.

ბავშვების ერთერთ საყვარელ თამაშობას წარმოადგენს წითელარმიელობანა, მფრინავობანა, მეტანკეობანა და სხვ.

სურათზე: თბილისის 26-ე საბავშვო კერის „მსროლელი“ ბავშვები: პირველ რიგში მარცხნიდან მარჯვნივ — ნუგზარ ცერცვაძე, ჟორა კოკოევი და ნუხუ რურუა; დგანან მარცხნიდან მარჯვნივ—ელგუჯა ცინცაძე და ციალა გაგნიძე. ფოტო სტოლიაროვასა და რიშკოვისა „სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

მკვდრის სისხლის გადასხმა

[illegible] შეაფასეს სისხლი: ცხოველმყოფელი ძალა. უკვე [illegible] ქირურგები [illegible] სისხლის გადასხმას ცდილობდნენ.

1657 წ. საფრანგეთის ელჩმა ლონდონში დე-ბორდომ აიღო ბოროტმოქმედის სისხლი, რომელსაც სიკვდილით დასჯა ჰქონდა მისჯილი, და შეუშხაპუნა მძიმე ავადმყოფს. ამავე დროს იყო სისხლის გადასხმის სხვა ცდებიც, მაგრამ ქირურგიის ტექნიკა დაბალ დონეზე იდგა და ხშირად სისხლის გადასხმა უშედეგოდ მთავრდებოდა.

სისხლის გადასხმის იდეა არ დაუვიწყნიათ არც მე-18 საუკუნეში, მაგრამ მხოლოდ 40 წელია, რაც სისხლის გადასხმა სწარმოებს დასაბუთებული მეთოდით. ახლა ზუსტად განსაზღვრულია სისხლის ჯგუფები და შეიძლება დონორის და ავადმყოფის სისხლის ნათესაობის გამორკვევა.

მაგრამ როგორ მოვიქცეთ, როდესაც ახლო არ არის დონორი? გამოჩენილმა საბჭოთა ქირურგმა ს. ს. იუდინმა, ბრწყინვალე ტექნიკოსმა და გაბედულმა ექსპერიმენტატორმა, წამოაყენა აზრი—გამოვიყენოთ მკვდრის სისხლი.

ათი წლის წინათ ხარკოველმა პროფესორმა შამოვმა ასეთი ცდა ჩაატარა მომაკვდავ ძაღლებზე. 7 წლის წინათ იუდინმა მკვდრის სისხლი გადაუსხა ადამიანს, რომელმაც თვითმკვლელობის მიზნით ძარღვები გადაიჭრა აბანოში. ეს კაცი სისხლისაგან დაცლილი მიიყვანეს საავადმყოფოში. ის კვდებოდა. პროფესორმა დაუბრუნა მას სიცოცხლე და დაამტკიცა თავისი ექსპერიმენტის მიზანშეწონილობა. ამის შემდეგ მოსკოვის სკლიფასოვსკის სახელობის ინსტიტუტში, 2500 ასეთი ცდა ჩაატარეს. მკვდრის სისხლი სიცოცხლის ფაქტორად იქცა.

როცა ადამიანი კვდება, ის იმწამსვე კი არ გაშეშდება. მოძრაობა, მატერიის მოძრაობა ჯერ კიდევ გრძელდება ორგანიზმში. ცენტრალური ორგანოები—გული და ტვინი—უკვე სამუდამოდ გაცივდა, მაგრამ რაღაც ინერცია ამოძრავებს მექანიზმის ცალკეულ ნაწილებს და სისხლი ცოცხლად რჩება ადამიანის სიკვდილიდან 7-8 საათის განმავლობაში.

იუდინმა და მისმა თანაშემწეებმა — ექიმებმა სკუნდინამ, ბარენბოიმმა, ბოჩაროვმა — განავითარეს ტექნიკა და თეორიულად დაასაბუთეს ადამიანებისათვის მკვდრის სისხლის გადასხმის მიზანშეწონილობა.

სკლიფასოვსკის სახელობის ინსტიტუტს ამჟამად მზამზარეულად აქვს შენახული 6 გრადუს სითბოში მკვდრის სისხლის მარაგი. ეს სისხლი შემოწმებულია სიფილისზე და მალარიაზე, განაწილებულია ჯგუფებად და ყოველთვის მზად არის გამოსაყენებლად.

2500 კაცი, რომლებზედაც ჩატარდა ოპერაცია, მოწმობს მკვდრის სისხლის გადასხმის წარმატებით გადაჭრას. ამ სისხლის გადასხმით განკურნებულნი საუცხოოდ გრძნობენ თავს და მუშაობენ.

ი. ს.

შემთხვევები

— **თავდასხმა მატარებელში.** ამიერკავკასიის რკინიგზის მილიციამ შეიპყრო ვ. მ. სოვრანსკი და ნ. ი. ზავერტალიუკი. ორივენი გაურკვეველი პროფესიისა. რამდენიმე ხნის წინათ სოვრანსკი და ზავერტალიუკი მატარებელში თავს დაესხნენ № ლეგიონის წითელარმიელს ამხ. აბრამიშვილს, გაძარცვეს და მატარებლიდან გადააგდეს. რაღაც შემთხვევით, ამხ. აბრამიშვილი მხოლოდ მსუბუქად დაშავდა, ჩავიდა სადგურ ნიგოითამდე და იქიდან სადგურ სამებახოს ტელეფონით შეატყობინა თავისი გაძარცვა. იქ ორივე მძარცველი შეიპყრეს.

— **ავტომობილების დაჯახება.** მსუბუქი ავტო-მანქანა № 30—58 (შოფერი ვ. ფ. კუზნეცოვი), რომელიც გადაჭარბებული სისწრაფით მიდიოდა, ლერმონტოვის ქუჩის კუთხეში დაეჯახა ავტომობილს № 02—29. (შოფერი გ. ი. ფაილოძე). ორივე მანქანა დაზიანდა. გამოძიება სწარმოებს.

— **ავარია.** 28 დეკემბერს, სატვირთო მანქანა № 19—35, რომელსაც მართავდა შოფერი მ. გ. გალუსტოვი, ბრძოლის ქუჩაზე მობრუნებისას შეიჭრა ევდოშვილის ქუჩა № 1 კუთხის სახლში. მანქანის ძლიერმა დაჯახებამ დაანგრია აგურის კედელი. მსხვერპლი არ ყოფილა. შოფერი პასუხისგებაში მისცეს.

პარტკალენდარი

დღეს, 31 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში აგიტატორებისათვის ქართულ და რუსულ ენებზე შესდგება კონსულტაცია თემაზე: „საშობაო დღესასწაულების წარმოშობა და კლასობრივი დედაარსი“.

პ.-მგ. რედაქტორის მოვალეობის დრ. აღმსრულებელი

ქ. შეროზია

რუსთაველის სახ.
ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1937—38 წ. სეზონი

1/I	წარმოდგენა 63 ალკაზარ
2/I	წარმოდგენა 64 ალკაზარ
3/I	წარმოდგენა 65 ნაპერწკლიდან

სალარო ღიაა დღის 12 საათიდან.
დასაწყისი საღ. 8 საათზე.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის
სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი

31/XII	მუდმ. ადგ. ტალონი № 61 სიმფონიური კონცერტი შოთა რუსთაველის პოემის ვეფხის ტყაოსნის დაწერის 750 წლისთავის აღსანიშნავად.
1/I	მუდმ. ადგ. ტალ. № 62 ქეთო და კოტე
2/I	მუდმ. ადგ. ტალ. № 63 ერთდრ. ბილეთის სერია № 5 გრუზადური

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის
თეატრი

1/I წარმ. № 67	ფიგაროს ქორწინება
2/I წარმ. № 68	ნაპერწკლიდან

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
სალარო ღიაა დილ. 12-დან საღ. 9 ს-მდე.

ექიმი
მ. ბ. შახნაზაროვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება. კანის და ვენერიული სნეულებანი. მიღება დილით 10-დან 12½ ს-მდე, საღამოს—5-დან 9 ს-მდე. კრასნოგორსკის ქ. № 33. შესავალი სადარბაზო კარიდან.

სახცირკი. ტელ. 3-11-44 = დღეს, 31 დეკემბერს

უდიდესი
ატრაქციონი
ლილიპუტების მუსიკალურ-ექსცენტრიული დასი
კინო-ჯაზი
დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.
სალარო 12—2 ს. და 5 საათიდან.

განახლებული პროგრამა
არტ. ხოხლოვების პირველი გამოსვლა
არტ. ანდრეევსკაია—გაწრთვნ. ძაღლები
არტ. იგორ-იუჯინი—სატირა
და ცირკის მთელი დასი

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახკომისარიატის „საქბარიტის“ წარმოების ბალანსი 1937 წლის 1 იანვრისათვის (ათას მანეთებში)

აქტივი №№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა	პასივი №№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობისა	1881	1	საწესდებო ფონდი	2521
2	ძირითადი საშუალებანი არასაწარმოო მნიშვნელობისა	461	2	სპეცფონდები	13
3	მარაგი მასალების, ნედლეულისა და სათბობის	287	3	რეზერვები	102
4	ნახევარფაბრიკატები და დაუმთავრებელი წარმოება	251	4	მოკლევადიანი კრედიტები	360
5	საქონელი, მზანაწარმი	1800	5	ანგარიშსწორებანი	1469
6	გასაყიდად გამოყოფილი საგნები	33	6	საანგარიშო წლის დაგროვებანი	575
7	ფულადი საშუალებანი	28			
8	ანგარიშსწორებანი	178			
9	მომავალი პერიოდის ხარჯები	101			
10	განყენებული საშუალებანი	20			
	ბალანსი...	5040		ბალანსი...	5040

დანაკარგებისა და დაგროვების ანგარიში

1.	სხვადასხვა დანაკარგები	360	1.	დაგროვებანი საქონლისა და მზა ნაწარმის რეალიზაციით	[illegible]
			2.	სხვა დაგროვებანი	142
	დაგროვების სალდო	575		დანაკარგების სალდო	—
	ბალანსი...	935		ბალანსი...	935

დირექტორი ურუშაძე. მთ. ბუხჰალტრის მაგ. სოლოვიოვი.

ბალანსი და დანაკარგ-დაგროვების ანგარიში დამტკიცებულია საქ. ადგ. მრეწვ. სახკომის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1683 საქართველოს ადგილ. მრეწვ. სახკომ. საბუხჰალტრო ჯგუფის ხელმძღვანელი ჯანელიძე.